# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 26 ნოემბერი 2002 №225 (1747) | ფასი 50 თეთრი




# სუნთქვითი ვარჯიში ფეხბურთის თანხლებით

## ლუიშ ფიგუს გოჭით და ვისკით გაუმასპინძლდნენ

## დერბმოლეულებს ლიგა არ ასვენებთ

იმ თაობას, ფეხბურთის ქომაგობა ახლა რომ დაიწყო, მონაყოლით თუ ეხსომება, რომ ერთ დროს ჩვენი „ეროვნული", მაშინ ვ.ი. ლენინის სახელობისა რომ იყო, პირთამდე ივსებოდა, სეზონური აბონემენტის მფლობელს თავი ამაყად ეჭირა და სხვათა შორის, სტადიონის ტერიტორიაზე ავეჯითაც არ ვაჭრობდნენ.

ახლა ვ.ი. ლენინის ხსენება, საბედნიეროდ, აღარ გვჭირდება, მაგრამ სამწუხაროდ, „ეროვნული" კი არა, „ლოკომოტივიც" აღარ ივსება საქართველო — რუსეთის მატჩისას. საქმე დაკარგეს და აორთქლდნენ ბილეთების გადამყიდველებიც.

ეს ძველი ამბავი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ გასულ უქმეებზე მილანსა და ბარსელონაში, მანჩესტერსა და დანდიში ხალხი დაძრწოდა და ბილეთებს ეძებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მაგალითად, „სან სიროზე" მესამე იარუსის ბილეთი სპეკულანტებთან 100 ევრო ღირდა. გადამყიდველებზე ეგ ნაშოვნი ფული ალალიაო, აბა, როგორ ვთქვათ, მაგრამ თამაშები კი ამ ფულად ნაღდად ღირდა.

განა ქომაგს არ ახსოვს უფრო თვალწარმტაცი „მილანი" — „ინტერი", მაგრამ მილანური დერბი მუდამ დიდი რამაა და ესპანური სუპერკლასიკოც მუდამ სუპერია.

და იმ დროს, როცა ბარსელონაში ლუიშ ფიგუს გოჭის თავებს და ვისკის ბოთლებს ესროდნენ, მილანში ჩინებულად თამაშობდა კახა კალაძე, გოლიც უიღბლობით თუ ფრანჩესკო ტოლდოს გრძელი ხელების გამო ვერ გაიტანა.

სეზონი გრძელია და მისი უმეტესი ნაწილი წინაა, ორი გამორჩეული თამაში კი უკვე გაიმართა. მაგრამ ვინ ამოგასუნთქებს — დღეს კიდევ ერთი, არანაკლები სანახაობაა, ჩემპიონთა ლიგაში „მილანი" „რეალს" მასპინძლობს. განა დაწვრილებით გარჩევა უნდა თუ რას ნიშნავს ჩემპიონთა თასის ცხრაგზისა და ხუთგზის მფლობელთა ფინალის სწორი მატჩი?

ამოსუნთქვა ეგებ მილანური დერბისა და ესპანური სუპერკლასიკოს მონაწილეებს სჭირდებოდეთ, გულშემატკივარი კი უქმეების ორსა და დღევანდელ მატჩებს ერთი ამოსუნთქვით უყურებს.

# გამარჯვების კაცი

## ასანიძის შევერცხლილი გიორგობა

გიორგობა დღეს გიორგი ასანიძე მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა ძალოსნობაში. ასე ეტყობოდა ატაცში შეჯიბრის გასრულების შემდეგ, რომელსაც იგი ათი კილოგრამით იგებდა. მერე გახურდა შეჯიბრი აკვრაში, რომლის პირველივე მისვლაზეც, გიორგის ბეჭი დაუზიანდა. იგი ამას არ გაუჩერებია, მოერია ტკივილს და რასაც ერთი, დაშავებული კაცი გასწევდა, იმაზე მეტიც კი გასწია. ჯვანტი მოვიდა სულ სხვა მხრიდან და ასანიძე 100 გრამით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ბულგარელი ზლატან ვანევი და მხოლოდ ამ მიზეზით დასჯერდა ვერცხლის მედალს. გიორგობა დღეს, გიორგი ასანიძე მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა და ვერ გახდა. იმ საღამოს დაბოლოება მწარე გამოვიდა მისთვის და ჩვენთვისაც. ოღონდ კი, ამით არა მთავრდება, იმიტომ, რომ ამით არ დაწყებულა. ყველამ ვიცით, რა გულის, ჭინისა და ოსტატობის კაცია გიორგი და მისი ეს მეორე ადგილიც იღბლის თამაშად უფრო გვიჩანს, ვიდრე ნამდვილი შედეგად. გიორგი ასანიძე ხომ გამარჯვების კაცია.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ბარსელონიდან



REUTERS მილანიდან

ლუიშ ფიგუსი რა ვთქვათ, რაულს და ვისენტე დელ ბოსკეს ბარსელონური კოშმარი ეტყობა, დაივიწყეთ — მილანში ჩინებულ ხასიათზე არიან



# გიორგი ასანიძის შევერცხლილი გიორგობა

„მსოფლიოს ჩემპიონობის შენარჩუნება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება" — ჯერ კიდევ პოლონეთში გამგზავრების წინ გვითხრა ძალოსანმა გიორგი ასანიძემ. ალბათ, თვითონ გიორგიც ვერ წარმოიდგენდა მაშინ, ასე დრამატულად თუ წარიმართებოდა პაექრობა ვარშავის ფიცარნაგზე. ქართველები კი გიორგობა დღეს გიორგისგან „ჯიუტად" ველოდით ოქროს და მსოფლიოს ჩემპიონობას. სიდნეის დარად, გამარჯვებულის ბედი ამჯერადაც სასწორმა გადაწყვიტა. იმ დღესაც ორჭიდში თანაბარი შედეგი დაფიქსირდა და კვარცხლბეკის „ოქროს საფეხურზეც" რაღაც გრამებით „მჩატე" ბულგარელი ძალოსანი ავიდა...

შაბათს ტელევიზიით ძალოსნობის ბევრმა მოყვარულმა ნახა ეს კადრები, თუმცა თვითმხილველის მიერ დანახული ზოგიერთი ნიუანსი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს. სწორედ ამ მიზნით შევეხმიანეთ ვარშავაში ასანიძის პირად მწვრთნელს, ვანო გრიძუროვს. საუბარი კი მსაჯობის თემით დავიწყეთ:

— მაყურებელს შეიძლება ისეთი წარმოდგენაც დარჩა, რომ გიორგიმ თითი დაუქნია მსაჯებს, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. უბრალოდ, იმდენად დიდია ნერვიული დატვირთვა, რომ სპორტსმენი ხანდახან თავის მოქმედებას ვერ აკონტროლებს...

მე ვთვლი, რომ 202,5 კგ გიორგიმ უმნიშვნელო შეცდომით ასწია. იგი ამაში არ მეთანხმება. სამი მსაჯიდან აზერბაიჯანელმა ცდა ჩათვალა, ავსტრიელმა და ინგლისელმა კი არა. ასეთ სადავო სიტუაციაში საქმეში ჟიური ერევა ხოლმე. 5-კაციანი ჟიურიდან უმეტესობამ შეცდომა დააფიქსირა.

**— თუ არ ვცდებით, ამ დროს მხარი უკვე ნატკენი ჰქონდა გიორგის...**

— ტკივილის გამო ამ წონაზე მეორე-მესამე ცდაზე მისვლა არ მოხერხდა. ისიც კი ვიფიქრეთ, რომ მას ბრძოლა აღარ გაეგრძელებინა. გიორგის უფრო შორს მიმავალი მიზნები აქვს. მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიცენზიის მოპოვება და ოლიმპიური თამაშები ათენში. მაგრამ მან თავისი გაიტანა და ბრძოლა მაინც გააგრძელა...

**— რამდენად სერიოზულია ტრავმა?**

— რენტგენის სურათმა არ აჩვენა ძვლების დაზიანება. დღეს კომპიუტერულ გამოკვლევას ჩაუტარებენ და იქ გამოჩნდება, არის თუ არა კუნთი ან სახსარი დაზიანებული.

**— ჩემპიონატის დაწყების წინ ასანიძის უშუალო კონკურენტებად ბელარუსი, ალბანელი და პოლონელი ძალოსნები სახელდებოდნენ, გამარჯვება კი ბულგარელს დარჩა...**

— გამარჯვებული ზლატან ვანევი ხელწამოსაკრავ მეტოქედ არასოდეს მიგვიჩნევია, იგი ადრე 77 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. მსოფლიოს ჩემპიონიცაა და რეკორდსმენიც. ვანევი წლეულს გადმოვიდა 85-კილოიანებში.

**— ბერძენი პიროს დიმასი რომ არ იასპარეზებდა ვარშავაში, ეს წინასწარ ვიცოდით, აი, გერმანელი მარკ ჰუსტერი რატომ არ ჩანდა ამ წონაში?**

— ჰუსტერი იყო ჩამოსული ვარშავაში, ამჯერად როგორც გერმანიის ტელევიზიის კომენტატორი. დიმასის შესახებ კი ითქვა, სპორტს თავს ანებებსო.

**— კახი კახიაშვილს თუ ვიხილავთ ფიცარნაგზე?**

— კახიმ ვარშავის ჩემპიონატი გამოტოვა. თუმცა აქაა და გულიანადაც გვქომაგობდა.

**— და ბოლო შეკითხვაც. რჩებით პოლონელებთან სამუშაოდ თუ ბრუნდებით თბილისში?**

— ჯერჯერობით ვრჩები, თუმცა ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება. ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. საქმეს როგორც წაადგება, ისე გადავწყვეტ.

**ზურაბ ტაბატაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ვარშავა (პოლონეთი)

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| **77 კგ** | |
| გიორგი მარკოვი (ბულგარეთი) | 370,0 |
| ოლეგ პერეპეჩენოვი (რუსეთი) | 367,5 |
| მუსენ ბარხაში (ირანი) | 365,0 |
| 8. დავით აავლიაშვილი (საქართველო) | 320,0 |
| **85 კგ** | |
| ზლატან ვანევი (ბულგარეთი) | 385,0 |
| გიორგი ასანიძე (საქართველო) | 385,0 |
| რუსლან ნოვიკოვი (ბელარუსი) | 380,0 |
| **94 კგ** | |
| ნიზამი პაშაევი (აზერბაიჯანი) | 392,5 |
| მილენ დობრევი (ბულგარეთი) | 387,5 |
| ოლივერ კარუზო (გერმანია) | 387,5 |
| **105 კგ** | |
| დენის გოტფრიდი (უკრაინა) | 420,0 |
| ალან ცაგაევი (ბულგარეთი) | 417,5 |
| ვლადიმირ სმორჩკოვი (რუსეთი) | 417,5 |
| 11. ალბერტ წოხაძე (საქართველო) | 395,0 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| **63 კგ** | |
| ხია ლიუ (ჩინეთი) | 242,5 |
| ანასტასია ცაკირი (საბერძნეთი) | 240,0 |
| გერგანა კირილოვა (ბულგარეთი) | 225,0 |
| **69 კგ** | |
| პავინა ტონგსუკი (ტაილანდი) | 260,0 |
| ვალენტინა პოპოვა (რუსეთი) | 257,5 |
| ნაჰლა მუჰამედი (ეგვიპტე) | 245,0 |
| **75 კგ** | |
| სვეტლანა ხაბიროვა (რუსეთი) | 262,5 |
| რუიპინგ სუნი (ჩინეთი) | 260,0 |
| ლუდმილა არიფოვა (რუსეთი) | 237,5 |
| **+75 კგ** | |
| აგატა ურიბელი (პოლონეთი) | 287,5 |
| ალბინა ხომიჩი (რუსეთი) | 282,5 |
| გონგპონგ ტანგი (ჩინეთი) | 277,5 |



საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი ეტაპი 14

## 18 ტური

# ზაზა ხომ არ გინახავთ?
## ცაკარიასი ჯანაშიას ბოლნისშიც ეძებდა

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

ბოლნისი. 23 ნოემბერი. 15 საათი. თიმურ სტეფანიას. 800 (ტევადობა 3 000)

### სიონი 0:1 ლოკომოტივი

| |
|---|
| 0:1 სირაძე (68) |

| | |
|---|---|
| სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე, გოგიტიძე (კაციაშვილი 86), ზ. ცქიფურიშვილი (კრავეიშვილი 78), ბაქრაძე, დაუშვილი (გიორგი ქორიძე 73), იხიანი, კვეკვესკირი, გაბისკირია, შიჟეულიძე, დ. გოდერძიშვილი. სათადარიგონი: ბათიაშვილი, ხუტუა, ცქითიშაძე. მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ლოკომოტივი: ლომაია, ორბელაძე, სალუქვაძე, მ. ბურძენაძე, სირაძე, კვარაცხელია, გალიარდო, გალუშო (რ. ინაიანი 77), გ. ინაიანი, გოგიაშვილი (სისულია 46), კაიდარაშვილი (გოგინაშვილი 76). სათადარიგო: ბობიაშვილი. მწვრთნელი: ლევან ცაკარიასი |
| გაფრთხილება: დაუშვილი (49), იხიანი (70), კვარაცხელია (78), გოგინაშვილი (86) | |
| მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიაშვილი (თბილისი), გ. ჩიტოშვილი (სამტრედია); ა. ორჯონიძე (ონი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა | |
| ჯარიმა: 20-23; კუთხური: 4-1; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 4-5; თამაშგარე: 1-7 | |

ბოლნისში არ ჩასულა რკინიგზელთა ძირეული შემტევი ზაზა ჯანაშია. მისი არყოფნის მიზეზი ცაკარიასმაც ვერ ახსნა. თავად გვითხრა პირველმა მწვრთნელმა, ხომ არ იცით, ზაზას ასავალ-დასავალიო. მიუხედავად ჯანაშიას ასეთი დამოკიდებულებისა, ევროპაში გამობრძმედილი ულვაშა არ აპირებს, ევროპულად გადაწყვიტოს ფეხბურთელთან ურთიერთობა — არ ივლის ვარჯიშებზე, არ ითამაშებსო, გვითხრა ცაკარიასმა და ისიც დაამატა, სანამ ჯანაშია ჭკუაზე არ მოვა, ამგვარად დავსჯიო.

ცაკარიასმა ორივე თანამემამულე ძირითად შემადგენლობაში დააყენა, თუმცა პირველებს ვარსკვლავები არ უწყვეტიათ. ის კი არა, შაბათს ბოლნისურ სარბიელზე მყოფ არც ერთ ფეხბურთელს არ აღემატებოდნენ. მიუხედავად ამისა, ცაკარიასის „ახალგაზრდულმა ვაგონმა" დებიუტშივე ქინით შეუტია და მე-3 წუთზე ტექნიკური და ტაქტიკურად განსწავლული სირაძის პასს კარიდან შვიდ მეტრში დარჩენილი გალიარდო უხეიროდ რომ არ დახვედროდა, ანგარიში გაიხსნებოდა.

ამის შემხედვარე ბოლნისელებსაც აუდუღდათ სისხლი და ჩაუქი დაუშვილის ფლანგზე განავარდებას გოდერძიშვილის გასროლილი მოჰყვა, თუმც ბურთი მცირედ ასცდა რკინიგზელთა კარს. დაუშვილი გახლდათ ბოლნისელთა თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი და საკვირველი იყო გადამწყვეტ მომენტში მისი მოედნიდან გაწვევაც.

გამარჯვებისა „ლოკომოტივმა" 68-ე წუთზე შეაგდო. კაიდარაშვილის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი მკერდით ჩამოიღო სირაძემ და აულებელი დაურტყა ვოლკოვს. მერე კი მართლაც მოულოდნელად გაგრძელდა მატჩი. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არასდროს ყოფილა, ანგარიშში მინიმალური სხვაობით ჩამორჩენილ გუნდს ასე თავზეხელაღებულად შეეტიოს. თავად განსაჯეთ, 75-ე წუთიდან „სიონი" ერთი მცველით თამაშობდა, რომლის ფუნქციებს თითქმის მოედნის ცენტრამდე ასული მეკარე ვოლკოვი ასრულებდა, დანარჩენები კი უშედეგოდ ტრიალებდნენ „ლოკომოტივის" საჯარიმოს მისადგომებთან. ასეთ სიტუაციაში სტუმრებს სულ ცოტა, ხუთჯერ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რეალური შანსი, თუმც გალიარდომ ისეთები გააცუდა, საქართველოში ჩამოსულ ლეგიონერსაც რომ არ ეკადრება.



დავით სირაძემ (მარჯვნივ) თემურ ვოლკოვს მაინც გაუტანა

# გზა სელტიქთან კოჭზე გადის

ლიდერობა ორი კვირის წინ წაჰკვარა „რეინჯერსს" მეორე გლაზგოურმა ბობოლამ, თუმც „ჩაფართა" ქართველი შემტევი შოთა არველაძე კვლავაც გამორჩეულია რეინჯერსელთა შორის.

ამ უქმეებზე შოთამ გოლიც გაუტანა „დანფერმლაინს", მაგრამ შესაძლოა, გარკვეული ხნით გამოაკლდეს გუნდს...

**— ორი ტურის წინ „აბერდინთან" გასვლაზე ფრედ 2:2 ითამაშეთ და პირველ ადგილზე „სელტიკი" გავიდა. მანამდე კი უეფას თასს გამოემშვიდობეთ**

**— რა ხდება „რეინჯერსში", როგორი ატმოსფეროა კლუბში?**

—კარგი სიტუაციააო ვერ ვიტყვი, მაგრამ არც განსაკუთრებული პანიკაა. ორ კვირაში მორიგი „ოლდ ფირმი" გვიწევს „სელტიკთან" — ძალიან მინდა, ამ გლაზგოურ დერბიშიც ვითამაშო, თანაც „სელტიკს" ვმასპინძლობთ.

**— კონკურენციის გამო შენი „სელტიკთან" თამაში ხათუა?**

— საქმე ისაა, რომ ადრე დაზიანებული კოჭი კვლავ გამიმიზეზდა, მტკივა და თან ძალიან გამისივდა. ექიმები ჯერ გადაჭრით ვერაფერს მეუბნებიან. რენტგენზე არც მანამდე ჩანდა და, შესაძლოა, ვერც ახლა აღმოაჩინონ ექიმებმა რამე, მაგრამ ტრავმა რომ გამირთულდა, ცხადია. შესაძლოა იანვარში ოპერაციაც გავიკეთო. ხდება ხოლმე, სურათზე არაფერი ჩანს, მაგრამ პატარა წამონაზარდი მართლა არსებობდეს. თუ ორ კვირაში უკეთ გავხდი, „სელტიკთან" აუცილებლად ვითამაშებ, ვნახოთ.

**— „დანფერმლაინს" კი ამ უქმეებზე იოლად მოუგეთ და გოლიც გაიტანე.**

— არც ისე ადვილი თამაში იყო, პირველ ტაიმში მეტოქე ათი კაცით იდგა კარში. ჩვენგან ძალიან ძლიერად ითამაშა მიხაილ მოლსმა, გოლიც მან გამატანინა.

**დავით თაგარაშვილაძე**



შოთა არველაძემ (მარცხნივ) მშვიდი რეინჯერსული გოლი მიითვალა

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. XIV ტური
კიოლნი 1:0 ფრაიბურგი

**ინგლისი**
I დივიზიონი. XX ტური
დერბი კაუნთი 3:2 უიმბლდონი

**იტალია**
სერია B. XIII ტური
ჯენოა 2:2 ვერონა

**ჰოლანდია**
II დივიზიონი. XIII ტური
ვოლენდამი 0:2 დენ ბოსში



ორი გაშვებული გოლის მერე „დინამომ“ ისე შეუტია, რუსთაველთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილს საქმე არ გამოლევია

# ჩვეულებრივი იშვიათობა

**ვაჟა ხუციშვილი** რუსთავიდან

**ასეთი** დაძაბული, უხვგოლიანი და ჯიგრიანი ფეხბურთი ჩვენს ჩემპიონატში იშვიათად ყოფილა. თავიდან ბოლომდე იყო ბრძოლა, მაღალი ტემპი, რასაც ლამაზი გოლებიც დაერთო და „ფოლადზე“ მისულმა მაყურებელმაც ისიამოვნა. ერთი ეგაა, მასპინძლები დასანანად დამარცხდნენ, არადა, ქულას უპირობოდ იმსახურებდნენ თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე ჩვიდმეტ ტურში ოდენ ხუთი გოლის გამშვებ დინამოს თხუთმეტიოდ წუთში ორჯერ გაუტანეს.

იფო შუშაკისთვის დასაწყისი მართლაც შოკის მომგვრელი იყო. „გორდა“ ისეთი ალესილი ეკვეთა მეტოქეს, რომ სანამ დინამოელები გონს მოეგებოდნენ, ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ. აშკარაა, რუსთაველებს მწვრთნელმა ხელი დაატყო და მისი ჩანაფიქრიც პირველ ტაიმში მაქსიმალური სიზუსტით სრულდებოდა. სტუმრებს ცენტრშივე მჭიდროდ ეთამაშებოდნენ, ფლანგებიდან კი ისე სწრაფად უტევდნენ, რომ მარცხნივ კვირკველია, მარჯვნივ კი ბურდული უმეტესად დაცვით იყვნენ დაკავებულნი.

პირველი გოლი სულ ორ შეხებაში გავიდა. ჩოხელმა კარის წინ ჩააწოდა, სადაც მცველების ზურგში ჩასაფრებულმა ჩია ჯელაძემ ფეხის ერთი წაკვრით „გორდა“ დააწინაურა. „დინამომ“, სანამ მეორეს გაუშვებდა, მასპინძელთა კარის გასალების ძიებაში ზედიზედ სამჯერ შეასრულა კუთხური, მაგრამ სამჯერვე იმარჯვეს რუსთაველებმა.

მასპინძელთა მეორე გოლი დაწვრილებით აღწერის ღირსია: ბურნაძემ დინამოელის არაზუსტად დარტყმული ბურთი მოედნიდან არ გაუშვა, მიუხედავად მრავალი შეძახილისა, გაუშვი გადავიდესო. მარცხენა ფლანგზე ზაზაშვილს (პირველ ტაიმში მართლაც საუკეთესო იყო) მიაწოდა, რომელმაც გვერდით ხაზზე უფრო წინ მყოფ ალადაშვილს უბოძა და თვითონ ბურთის მისაღებად მოკურცხლა. კაპიტანმა ქუსლით დაუბრუნა და დაახლოებით კუთხურის ალამთან ჩარბენილმა ზაზაშვილმა კარის წინ დაბალი ჩააწოდა, სადაც ჩოხელმა მცველებს დაასწრო და ზოიძეს ახლო კუთხეში ზუსტად დაურტყა. ყველაფერი ისე სწრაფად შეასრულეს, „დინამო“ იმ მომენტში უბრალოდ, გაჩერებულს ჰგავდა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო და ივო შუშაკის რეაქციამაც არ დააყოვნა. აშკარა გახლდათ, სტუმართა მარჯვენა ფლანგზე ხშირად ჩნდებოდა თავისუფალი ადგილები, რითაც კარგად სარგებლობდნენ დამხვდურები. ამის გამო ნამატჩევს ხორვატმა თქვა, ხიზანიშვილის არყოფნამ მარჯვენა ფრთა დაასუსტაო. თბილისელთა მწვრთნელმა მეტი ყურადღებისკენ მოუწოდა თავის მცველებს, თუმც პირველი ტაიმის განმავლობაში კიდევ არაერთხელ დააწიოკეს მასპინძლებმა შესუსტებული ფლანგი.

დინამოელებმა მაშინ ამოისუნთქეს, როცა მორიგი კუთხური ანჩაბაძემ შეასრულა და ამისულაშვილმა ჰაერში ყველას აჯობა. მისი თავური მარცხენა ცხრიანში შევარდა. სტუმრებმა ზეწოლა გააძლიერეს. მათი შეტევები უმეტესწილად მაღალი ჩაკიდებებით სრულდებოდა. საჯარიმოს მისადგომებთან რატი ალექსიძე იბრძოდა ბურთისთვის, მაგრამ აშკარა საგოლე ვერ შექმნეს.

ერთხელ ანჩაბაძემ დაურტყა ბედიაშვილს ეშმაკურად, მეკარემ იმარჯვა. მერე დარასელიამ ფინტებით ჩამოიშორა რამდენიმე მცველი, თუმც დარტყმა არ დაანებეს.

შეტევებით გართულ „დინამოს“ პირველი ნახევრის მიწურულს კონტრშეტევა გამოეპარა. კვირკველიას ალადაშვილი საჯარიმოს წინა ხაზთან რომ არ წაექცია, რუსთაველთა კაპიტანი ზოიძეს ალბათ პირისპირ შეეყრებოდა. მსაჯმა დინამოელს ოდენ ყვითელი ბარათი აკმარა, რამაც გულშემატკივრები გაახელა. ისინი კვირკველიას „გაწითლებას“ ითხოვდნენ, რადგან, მათი აზრით, მცველმა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი წესის დარღვევით ჩაშალა.

შესვენების შემდეგ რუსთაველებს ნელ-ნელა დაღლა დაეტყოთ და ისე მწვავედ ველარ უტევდნენ, სტუმრებმა კი უფრო მოინდომეს. ანჩაბაძემ ჯერ დარასელია გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, რომელმაც გაათანაბრა, მერე თვითონ ანჩაბაძემ ამისულაშვილის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო უზადოდ შეასრულა.

მანამდე, მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში, ალადაშვილმა გოცირიძეს მესამე გოლის გატანის შანსი მისცა. გოცირიძემ შაშიაშვილს ბურთიანად თითქმის გაასწრო. მის წინ მხოლოდ ზოიძეღა დარჩა, მაგრამ რუსთაველის დარტყმული კარს ასცდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გაცუდებულმა მომენტმა თავის მცირე, მაგრამ საბოლოოდ გადამწყვეტი სიტყვა თქვა, რადგან ხელმეორედ ორბურთიანი ფორას ამოქაჩვა „დინამოს“ ალბათ უფრო გაუძნელდებოდა. თუმც, მასპინძლებს ქულის გადარჩენა შეეძლოთ, მატჩის მიწურულს კუთხურიდან ჩაწოდებული სოხაძემ თავით შორ კუთხეში გადაგზავნა და ზოიძეს გვარიანად გაწელვა დასჭირდა ბურთის თითებით მოსაგერიებლად.

-ჯერ კიდევ პირველი ტაიმის ბოლოს ბავშვმა ჰკითხა მავან ბიძას, ჩაწყობილაო? არაო, მიუგეს პასუხად, ჩვეულებრივი მატჩიაო. საშინელებაა, როცა უკვე მოზარდებს თავში „ჩაწყობილი“ აქვთ „ჩაწყობილი“.



რუსთაველი ზურაბ ლაბაძემ (№7) დავით კვირკველიას ფეხი ჩაუდგა

რუსთავი. 23 ნოემბერი. 15 საათი. ფოლადი. 1 500 (ტევადობა 8 750)

## გორდა 2:3 დინამო

1:0 ჯელაძე (3), 2:0 ჩოხელი (14), 2:1 ამისულაშვილი (18), 2:2 დარასელია (66), 2:3 ანჩაბაძე (69)

| გორდა | დინამო |
|---|---|
| **გორდა:** ბედიაშვილი, არსოშვილი, ა. ბურნაძე, ბერიძე, ზაზაშვილი (შოთაშვილი 86), ზ. ლაბაძე, ჩოხელი (სოხაძე 75), გოცირიძე, კ. ალადაშვილი, ჯ. თავბერიძე, ა. ჯელაძე. სათადარიგონი: ჩლაიძე, მამაშვილი, მიქავა, ბუკია, ლევშილიანი. **მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე | **დინამო:** ზოიძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, კვირკველია, ვაშაკიძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (გ. ვ. მიქაძე 87), ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ალექსიძე. სათადარიგონი: ნაფეტვარიძე, მაზიაშვილი, მანჯგავა, ა. სოხაძე, ი. სამხარაძე, მ. ბობოხიძე. **მწვრთნელი:** ივო შუშაკი |

**გაფრთხილება:** კვირკველია (37), თავბერიძე (54), სოხაძე (88)

**მსაჯები:** ვ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

ჯარიმა: 16-20; კუთხური: 2-12; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 4-7; თამაშგარე: 6-4

თბილისი. 23 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი. 300 (ტევადობა 2 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 დილა

1:0, 2:0 მელქაძე (35პ, 40)

| ვიტ ჯორჯია | დილა |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, მუჯირი, ინწკირველი, გველესიანი, გ. გოჩაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ქოქიაშვილი (დ. დოლიძე 60), ციციანი (დ. ბოლქვაძე 70), ადამია (ვ. მერებაშვილი 77), მელქაძე. სათადარიგონი: ქურაძე, ლ. მერებაშვილი, ფიქრიშვილი, ბერულიძე. **მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი | **დილა:** თ. ილურიძე, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, დავითაძე, ფეხუაშვილი, სოხიაშვილი, ჯობაძე, ბ. ჩიტაია (ოლეგაშვილი 56), რაზმაძე, ძოწუაშვილი (ზორგუაშვილი 46), ა. ხმალაძე (სიყვარულიძე 69). სათადარიგო: ნასყიდაშვილი. **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |

**მსაჯები:** ა. მუშკუდი; ზ. ხუციშვილი, ი. შალამბერიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ქელიძე

ჯარიმა: 11-13; კუთხური: 4-0; კარისკენ დარტყმა: 9-2; კარში დარტყმა: 9-3; თამაშგარე: 2-6

# ქარის წაღებულს ჯანი მოიტანს
# კარნევალი იტალიელია?

**კახა შალამბერიძე**

**ამ წყვილში** გამარჯვებულის გამოცნობა ძნელი ნაღდად არ იყო. პოდა, საჩემპიონო ამბიციებგაჩენილმა „ვიტ ჯორჯიამაც“ იოლად მოუგო მეტოქეს.

ჯანი კარნევალიმ გუნდი, ცოტა არ იყოს, იტალიელისთვის უცნაური ტაქტიკური სქემით ათამაშა. დაცვაში მხოლოდ ორი ფეხბურთელი — მუჯირი და ინწკირველი გაამწესა, ფლანგები გველესიანს და გოჩაშვილს ჩააბარა, ცენტრში კი დილმელაშვილი, ნოზაძე და ქოქიაშვილი ტრიალებდნენ. თავდასხმის ხაზი ძველებურად უცვლელი დარჩა — მელქაძეს და ადამიას ოდნავ უკნიდან ყოფიანი ეხმარებოდა. ვეტერანარებმაც მთლიანად იგდეს მატჩის სადავეები ხელთ და პირველ გოლამდე იმდენი სახიფათო მომენტი გაანიავეს, ბარე ორ თამაშს ეყოფოდა.

მასპინძლებს თავიდანვე სულ მცირე, ოთხი გოლი მაინც უნდა გაეტანათ. ჯერ ყოფიანმა ააცილა ახლოდან. ცოტა ხანში გიორგის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა და დამატებაზე მელქაძემ თავით დაასწრო მცველს, თუმც კარის ხაზზე წაქცეულმა მეკარემ ფეხებით მოიგერია ბურთი. მალე გიორგი ადამია გავიდა ილურიძესთან პირისპირ, თავზეც გადაუგდო ბურთი, მაგრამ კარის ჩარჩოში ვერ მოახვედრა.

ამდენი მომენტების გამოუყენებლობა „ვიტ ჯორჯიასთვის“ უცხო ხილი სულაც არაა. ვეტერინარები თითქმის ყველა მატჩში ქმნიან ბლომად საგოლე შანსებს, მაგრამ მათგან ბევრს ქარს ატანენ. ასევე იყო წინა ტურში „ლოკომოტივთანაც“. მთელი სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, ჯანი კარნევალის შეგირდებმა გასატანი ვერ გაიტანეს და საბოლოოდ 1:2 დამარცხდნენ.

35-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯიამ“ მაინც მიაღწია მიზანს. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ხაჭაპურიძეს ხელზე მოხვდა და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა.

პენალტის დარტყმა ლევან მელქაძემ ითავა და ზუსტადაც შეასრულა — 1:0. ხუთიოდ წუთში მელქაძემ დუბლიც გააზერხა. ადამიას ჩაწოდებულს მისი საგოლე თავური მოჰყვა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

ტაიმის ბოლომდე მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა. გუნდებიც შესვენებაზე გავიდნენ. იქიდან დაბრუნებულებმა კი მეტად მოსაწყენი 45 წუთი გალიეს მოედანზე.

დამარცხება-გამარჯვებასთან შეგუებულმა სტუმარ-მასპინძელმა ბევრი ვერაფერი აჩვენა მცირერიცხოვან მაყურებელს. სახიფათო მომენტებიც შედარებით ცოტა შეიქმნა.

საბოლოოდ „ვიტ ჯორჯიამ“ საჭირო სამი ქულა მიითვალა და დაწინაურებულ ოთხეულშიც საკუთარი ადგილი შეინარჩუნა. ასე რომ, ვეტერინარები გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადებიან, გორის „დილას“ კი ნაღდად დიდი ჯაფა დაადგება უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. სეზონის ასე თუ ისე წარმატებით დამწყები ქართლელები ბოლო ტურებში ბლომად ქულებს კარგავენ და კონკურენტებსაც ველარ შორდებიან.

ბათუმი. 23 ნოემბერი. 14 საათი. ჩინებული. 400 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:0 მეტალურგი

1:0 დარჩიძე (80)

ბათუმი: ტოგონიძე, მახარაძე, მაჭუტაძე, ხუჯაძე, მინდაძე, თურმანიძე, კობიძე (ტაკარაძე 66), ტულუში, დარჩიძე, გულეჯიშვილი (ბეჟანიძე 66), გ. მიქაბაძე (რომანაძე 85)
სათადარიგონი: აბულაძე, სურმანიძე, ცინარიძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

მეტალურგი: ა. ლაბაძე, გურეშიძე, კობაიძე, მაღლაკელიძე, მ. ლონლაძე, გაბრიჭიძე (ნიშნიანიძე 85), სუხიაშვილი, ქარდავაძე (ორმოცაძე 75), სულაკაძე, ი. ხაჭაპურიძე (ბეჟიძე 88), ფოფხაძე
სათადარიგონი: მერკვილაშვილი, გოგაძე, კ. თაბუკაშვილი
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

გაფრთხილება: ლონლაძე (26), ხაჭაპურიძე (34)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ნ. რუხაძე (ოზურგეთი), გ. კუპრეიშვილი (ორივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

კარისკენ დარტყმა: 17-15; კუთხური: 3-2; კარისკენ დარტყმა: 4-1; კარში დარტყმა: 2-4; თამაშგარე: 5-5

# დარჩიძის გვიანი ჩალურსმნული

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**მომავლის** იმედიც დიდი საქმე ყოფილა და ეს ყველაფერი ცხადად წარმოჩინდა „ბათუმის" ალმასვლაში. მას შემდეგ, რაც ზღვისპირელებს ფულიანი პატრონი გამოუჩნდა, შედეგმაც არ დააყოვნა. მართალია, ჯერჯერობით ნაწილ-ნაწილ ხდება ფეხბურთელთა სახელფასო უზრუნველყოფა, მაგრამ დაპირებაც ხომ კარგი საქმეა.

ბათუმში ნასტუმრები იმერლები სხვა ხასიათზე იყვნენ. კარგად დაწყებული სეზონის შემდეგ, საქმე შავად წაუვიდათ და ზეექვსეულისაკენ მიმავალი ბილიკიც თანდათან უმცირდებათ.

ამიტომაც იყო, ამ მატჩში დაძაბულ პაექრობას ველოდით და ნაწილობრივ ეს პროგნოზი გამართლდა კიდეც. სხვა საქმეა თამაშის ხარისხი, რომელიც განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყო მწირზე მწირი. ფაქტობრივად, შესვენებამდე ორად-ორი ეპიზოდი თუ გვათქმევინებდა „დინამოს" შეყვითლებულ მინდვრის გაზონზე, ფეხბურთია გაჩაღებულიო. სტუმარ-მასპინძელს თითო-თითო საგოლე შანსი მიეცა და სულ ეს იყო. პირველად მაჭუტაძემ სცადა თავით გატანა, მაგრამ კარს ოდნავ ააცილა. ზესტაფონელთა პასუხი არანაკლებ მწვავე აღმოჩნდა. ფეხმარდი ფოფხაძე იგივე მაჭუტაძეს კი გაექცა, მაგრამ ტოგონიძესთან პირისპირ შეყრილს საბოლოო დარტყმა ნაჩქარევი და უხეირო გამოუვიდა.



„ბათუმს" სამი ქულა ვიტალი დარჩიძის დარტყმამ მოუტანა

მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესოდ დაიწყო და პირველივე წუთზე ხიფათით აღინიშნა. გულეჯიშვილმა მცველთა ჭიდილში შეძლო საჯარიმოში შემორბენილი ტულუშისთვის ხეირიანი გადაცემის მიწოდება, თუმცა, თემურის ცაციათი დარტყმული მეტად უზუსტო გამოდგა.

ხუთიოდ წუთში „მეტალურგმაც" გამოიჩინა ფხა და კინაღამ გაიტანა კიდეც. მარჯვენა ფლანგზე სულაკაძემ ფოფხაძეს გაუჭრა ბურთი, ისიც საჯარიმოში შეიჭრა და მცველის მოტყუება სცადა. მოატყუა კიდეც და კარშიც დაარტყა. ოღონდ, უფრო პასი გამოუვიდა, რომელსაც მარცხნივ ლონლაძე გამოეხმაურა. ზესტაფონელთა ვეტერანმა კარგადაც დაარტყა, მაგრამ ტოგონიძეს ვერ აჯობა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან მეტოქეთა აქტივობის 15 წუთიანმა მონაკვეთმა კიდევ ორი გამორჩეული ეპიზოდი დაიტია. ჯერ იყო და სტუმართა მეკარეს მაჭუტაძის ურთულესი საჯარიმო დარტყმის მოგერიება მოუხდა. აი, აქედან ორიოდ წუთში სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს მეტალურგებმა, ფოფხაძემ სისწრაფის ხარჯზე ამჯერად მახარაძე ჩამოიტოვა და საჯარიმოშიც გონივრულად შეიგდო ბურთი. ვინ იცის რა მოხდებოდა, ტოგონიძეს დროულად რომ არ დაეტოვებინა კარი და ვარდნაში ხიფათი არ აეცილებინა.

ამასობაში ასლან ბალაძემ ორმაგი შეცვლით სცადა თამაშის ხსნა, მაგრამ პასუხად სანუგეშო ვერაფერი მოიმკო. მატჩმაც ერთგვარად აკადემიური ხასიათი მიიღო და საგოლე ეპიზოდებიც ნაკლებად იქმნებოდა. „ბათუმის" იერიშებს, სტუმართა კონტრჩხვლეტის მცდელობა ახლდა თან და რეალური შედეგი კარგა ხანი არ ჩანდა.

არც გამოჩნდებოდა, ლიბეროდ გარჯილ მაჭუტაძეს სტუმართა საჯარიმოში შესვლა რომ არ მოეხშირებინა. 80-ე წუთზე სწორედ მისმა თავგამოდებამ შვა ის ერთადერთი გოლი, რომელიც დარჩიძის უნაკლო დარტყმას მოჰყვა. საქმე კი ასე იყო: საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს მაჭუტაძე ყველაზე მაღლა აუხტა და თავით მიმართულებაც იღბლიანად უცვალა. დადარაჯებულმა დარჩიძემ ბურთი მიიღო თუ არა, შვიდიოდ მეტრიდან ისეთი გაისროლა, ბურთი ლაბაძისგან მარჯვენა ცხრიანში ლურსმანივით შეჭედა.

ამ გოლმა მეტალურგები კი შეაფუცხუნა, მაგრამ გვიანი იყო, დარჩენილ დროში ზღვისპირელებმა აულელვებლად შეინარჩუნეს ნაგვიანევი სასურველი შედეგი და სამი ქულით გაიმდიდრეს ჯერ კიდევ მწირი ქულათა მარაგი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 15 | 1 | 2 | 43:7 | 46 |
| ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 42:11 | 44 |
| ლოკომოტივი | 18 | 13 | 1 | 4 | 30:9 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 13 | 1 | 4 | 31:11 | 40 |
| სიონი | 18 | 8 | 2 | 8 | 23:23 | 26 |
| კოლხეთი | 18 | 7 | 3 | 8 | 19:27 | 24 |
| მერანი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:30 | 19 |
| ბათუმი | 18 | 4 | 5 | 9 | 13:23 | 17 |
| მეტალურგი | 18 | 5 | 1 | 12 | 10:36 | 16 |
| გორდა | 18 | 4 | 0 | 14 | 17:34 | 12 |
| დილა | 18 | 3 | 3 | 12 | 9:26 | 12 |
| მილანი | 18 | 3 | 3 | 12 | 9:35 | 12 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება.
მეცხრე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.
მეთექვსმეტე ტურში „მეტალურგს" „ტორპედოსთან" ჩაეთვალა წაგება 0:3.

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 13 - იონანიძე | ტორპედო |
| 12 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10 - დარასელია | დინამო |
| 8 - შავგულიძე | სიონი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |

ქუთაისი. 23 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 19 500)

## ტორპედო 5:0 მილანი

1:0 დიდავა (8), 2:0 იონანიძე (20პ), 3:0 პოროშინი (35), 4:0 იონანიძე (55), გამეზარდაშვილი (88)

ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, დიდავა, ჩომახიძე, კვეტენაძე (აბალკაცი 46), ბაბუნაშვილი (გამეზარდაშვილი 53), ასათიანი, პოროშინი (ლალაძე 65), იონანიძე
სათადარიგონი: ქანთურია, მახვილაძე, ალუგიანი, ქელიშვილი
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

მილანი: ასლანიძე, ტარუაშვილი, ჯაბუა, აკობია, მ. სამხარაძე (ლულუნაძე 39), მეტრიძე, ვართაგავა (ელიზბარაშვილი 65), ეგაძე, ქილიაშვილი, ქარჩავა, შელეგია (ლამბაშიძე 46)
სათადარიგონი: მამალაძე, ჯაფარიძე, გოორგაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე არველაძე

გაფრთხილება: ვართაგავა (54)

გაძევება: როვაზ კაკულია (11, „მილანის" მწვრთნელი)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ლ. სილაგავა (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

კარისკენ დარტყმა: 19-16; კუთხური: 2-1; კარისკენ დარტყმა 10-1; კარში დარტყმა: 8-0; თამაშგარე: 7-0

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. პირველი წრე. 14 ტური

# ტერიტორიადაკარგულის ტერიტორიული უპირატესობა

გორი. 24 ნოემბერი. 15 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

## ცხინვალი 0:0 დინამო 2

ცხინვალი: ქქანაშვილი, ხოხობაშვილი, ელიაშვილი, ქობესაშვილი, დ. გ. მაისურაძე, თაგაძე, მარგიევი, გ. კიდარაშვილი (გ. მესხი 80), ნასუაშვილი (ტოკლიკიშვილი 65), გამეზელიძე, მოსიაშვილი
სათადარიგონი: დ. ზ. მაისურაძე, ჩაჩიბაია, ნიქარიძე, გ. მაისურაძე
მწვრთნელი: რობერტ ამბრიაშვილი

დინამო 2: ნადიბაიძე, მეგრელიშვილი, კაშია, შელია, ექონია, კაჭარავა, მანჯავა, მაჩხოვა, გ. მ. მიქაძე (სულაქველიძე 64), ებანოიძე (ნორაკიძე 89), ხუჭუა (სვანიძე 74)
სათადარიგონი: მჭედლიძე, კაპანაძე, გამისონია, მუმლაძე
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

გაფრთხილება: მანჯავა (61), სულაქველიძე (70)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. სილაგავა, ზ. ხუციშვილი; ა. მუშკოვი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. რუხაძე

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**ბეჯითი გუნდია** „ცხინვალი". რამდენიმე წელიწადია, სულ პირველი ლიგის ლიდერებში ტრიალებს და მშობლიურ ფესვებს რომ არ იყოს მოწყვეტილი, ოცნებას აქამდეც აიხდენდა და უმაღლესშიც ითამაშებდა.

გორში მობურთალ „ცხინვალს" ადგილობრივი ხელისუფალნიც შეძლებისგვარად ეხმარებიან, მაგრამ ეს მხოლოდ ლიგის ერთ-ერთი ფავორიტობისთვის კმარა. უფრო მაღლა ფრენას მეტი სახსრები სჭირდება.

მოედანი კი სანაქებო ჰქონიათ ცხინვალელებს. ტყუილი ქადილი ნამდვილად არ გამოგვივა, თუ ვიტყვით, რომ „ქართლის" მინდვრის საფარი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

ჰოდა, იქ იწვიეს მასპინძლებმა თითქმის ყოველმხრივ უზრუნველყოფილი „დინამო 2", ვისთვისაც ბოლო ხანს გასაჭირი უცხო რამ გახლავთ. თავიდანვე შეუტიეს მასპინძლებმა, დიდი უპირატესობაც ჰქონდათ პირველ ტაიმში, მაგრამ სტუმართა კარს საკეტურები ვერ უმტვრიეს.

ბევრი და ნაყოფიერად ილვაწა უმცროსმა კაიდარაშვილმა. ერთ მომენტში გატანაც შეძლო, მაგრამ მის თავურს სიზუსტე აკლდა. მისმა მეწყვილემ თავდასხმაში, გამოცდილმა პაატა გამცემლიძემაც არაერთი პრობლემა შეუქმნა სტუმართა დაცვას. ამათ ზურგს ელიაშვილი და მოსიაშვილი უმაგრებდნენ, მაგრამ არ გატყდნენ ახალგაზრდა დინამოელები.

მეორე ტაიმში თითქმის არაფერი შეცვლილა. „ცხინვალი" ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ გადამწყვეტი შტურმისთვის ძალა აღარ ეყო. დინამოელებმა კი ორჯერ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს მეტოქე და ჯერ სულაქველიძეს, მერე კი ებანოიძეს სამიზნე რომ გაესწორებინათ, არა მგონია, მასპინძლები დამარცხებისგან ვინმეს ეხსნა. ისე, ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო და თბილისელთაგან უფრო მეტს ველოდით. არა, „ცხინვალთან" სტუმრად გაჩარხული ფრე ურიგო შედეგი სულაც არ გახლავთ და ბევრი პირველლიგელისთვის სანატრელიც კია, მაგრამ მომავალი „დინამო" უფრო პერსპექტიული და დიდი გაქანებისა უნდა იყოს.

## გურია 1:5 ლაზიკა

## ლოკო 4:0 ალაზანი

## თსუ 2 1:0 ქობულეთი

## ჭაბუკთა ნაკრები 2:0 მერცხალი

## სამტრედია 0:2 მცხეთა

## სამგურალი 1:0 ლოკომოტივი 2

## ივერია 0:1 ხობი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 14 | 9 | 4 | 1 | 35:16 | 31 |
| მერცხალი | 14 | 8 | 4 | 2 | 20:8 | 28 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 5 | 2 | 22:11 | 26 |
| ივერია | 14 | 7 | 3 | 4 | 19:15 | 24 |
| სამგურალი | 14 | 6 | 5 | 3 | 17:12 | 23 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 14 | 6 | 3 | 5 | 21:14 | 21 |
| დინამო 2 | 14 | 6 | 3 | 5 | 17:13 | 21 |
| მცხეთა | 14 | 5 | 5 | 4 | 19:13 | 20 |
| თსუ | 14 | 5 | 4 | 5 | 10:11 | 19 |
| ლოკო | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 |
| ლოკომოტივი 2 | 14 | 4 | 6 | 4 | 12:10 | 18 |
| ქობულეთი | 14 | 5 | 1 | 8 | 8:16 | 16 |
| გურია | 14 | 4 | 3 | 7 | 12:21 | 15 |
| ხობი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:19 | 12 |
| სამტრედია | 14 | 3 | 2 | 9 | 10:20 | 11 |
| ალაზანი | 14 | 0 | 4 | 10 | 9:38 | 4 |

# ქართულიც ახსოვთ და ფეხბურთიც

**კიდევ** ერთხელ გამოჩნდა, რომ ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის, იგი დიდი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია და ეს ფაქტი უკვე უდავოა. სამწუხაროდ, საქართველოში ამ აზრს ჯერაც არა აქვს ფესვები ღრმად გადგმული, თუმც ყინული უკვე დნება...

სასიამოვნო ამბავი მოხდა შაბათს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე თბილისში, საქართველოს დედაქალაქის გლდანის რაიონის სოფელ ფიჩორის მკვიდრი ბავშვები ეწვიენენ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ფიჩორი ახლა აფხაზ სეპარატისტთა ხელშია და იქ საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება... თუმც ჩვენდა სასიამოვნოდ, ეს ბიჭები ისეთი ქართულით ლაპარაკობდნენ, გაგიხარდებოდათ...

სტუმრებს საფეხბურთო კლუბ „შევარდენის" ხელმძღვანელობამ უმასპინძლა. ამხანაგური მატჩიც თვალსასეირო გამოდგა. „შევარდენმა" 5:3 მოუგო ენგურსიქითა ქართველებს, მაგრამ ეს ხომ ის მატჩი იყო, სადაც ანგარიშს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი თავად ფაქტია...

**კახა ზალამბერიძე**




**იყიდება უნიკალური წიგნები**

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

# სერობა მანჩესტერში

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XV ტური

**ჩარლტონი 3:1 ბლეკბერნი**
1:0 კონჩესკი (59), 1:1 ტომფსონი (60), 2:1 რუფუსი (74), 3:1 იუელი (90)
ჩარლტონი: დ. კელი, ფიში, რუფუსი, ფორტუნი (კონჩესკი 46), იანგი, პარკერი, კიშიშევი, დ. პაუელი, იუელი, ლისბი (ბარტ-უილიამსი 86), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ბლეკბერნი: ა. კელი, ნილი, შორტი, ნ. იოჰანსონი, კერტისი (გრაბი 78), ტომფსონი (გილესპი 87), ტუგაი, დ. დაფი, დანი, ენდი კოული, ოსტენსტადი (იორკი 62)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: იუელი, ლისბი
მსაჯი: რენიე
26 152 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:0 ლიდსი**
1:0 შერინგემი (12), 2:0 კინი (41)
ტოტენჰემი: კელერი, ბუნიევეჩევიჩი, კინგი, რიჩარდსი, კარი, ფრეინდი, ანდერტონი (რედნაპი 78), პოიეტი (ივერსენი 90), ციგე (ს. დევისი 68), შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, მატეო, ლუკიჩი, უილკოქსი, ბოიერი, ბარმბი (ვიდუკა 37; მილნერი 82), მაკფეილი, ბაკე, კიუელი, სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
გაფრთხილება: პოიეტი, ციგე, ბუნიევეჩევიჩი
მსაჯი: ბარბერი
36 517 მაყურებელი

**ასტონ ვილა 4:1 ვესტ ჰემი**
1:0 ჰენდრი (29), 2:0 ლეონარდსენი (59), 2:1 დი კანიო (70), 3:1 დაბლინი (72), 4:1 ვასელი (80)
ასტონ ვილა: ენკელმანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, სტონტონი, ბერი, ლეონარდსენი, ლ. ჰენდრი (კინსელა 85), ი. ტეილორი, ჰიცლსპერგერი, დაბლინი (ანჯელი 85), ვასელი (ალბეკი 85)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შემელი, დეილი, ი. პირსი, უინტერბერნი, ტ. სინკლერი, კარიკი, ე. სისე, ჯ. კოული, დი კანიო, დეფო
მწვრთნელი: გლენ როუდერი
გაფრთხილება: სტონტონი, დაბლინი, ჰიცლსპერგერი, პირსი, სისე
მსაჯი: ფოი
33 279 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 ჩელსი**
1:0 პედერსენი (63), 1:1 ჰასელბაინკი (90)
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, კამპო, ვარჰურსტი, რ. გარდნერი, ფრანდსენი (ტოფტინგი 46), ნოლანი (რიკეტსი 79), ჩარლტონი, ოკოჩა, ჯორკაეფი, პედერსენი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი, ბაბაიარო, გრონკიერი (ჰასელბაინკი 46), ლამპარდი, ე. პეტი, ლე სო (ჯ. მორისი 72), გუდიონსენი, ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბერნესი, ტოფტინგი, მელხიოტი, გალასი, ჰასელბაინკი, დესაი
გაძევება: ბაბაიარო (77)
მსაჯი: დინი
25 476 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 რაძინსკი (35)
ევერტონი: რ. რაიტი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ანსუორთი, კარსლი, გრაველსენი, ტიე, ნეისმიტი (პისტონე 84), რაძინსკი (რუნი 87), კ. კემბელი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, დ. მური, გრეგანი, სიგურდსონი, ბალისი (კუმასი 72), კლემენტი, უოლვორკი, მაკინესი, ნ. ჯონსონი, რობერტსი, დობი (მ. ჰიუზი 50)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: გრაველსენი, ტიე, კლემენტი, კუმასი
მსაჯი: უინტერი
40 113 მაყურებელი


REUTERS
მანჩესტერი — ნიუკასლი. ენდრიუ ობრაიენი წაიქცა, რაიან გიგზი გაიქცა

**ფულემი 3:2 ლივერპული**
1:0 საჰა (5), 2:0 დევისი (38), 2:1 ჰამანი (62), 3:1 საჰა (68), 3:2 ბაროში (86)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ნაითი, გომა, ბრევეტი, გოლდბეკი (კლარკი 89), შ. დევისი, ჯეტუ, მალბრანკი, მარლე, საჰა (ინამოტო 74)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ბაბელი (ბაროში 46), ტრაორე, დიაო (ჯერარდი 46), დ. მერფი, ჰამანი, რიისე, ოუენი, ჰესკი (შმიცერი 77)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: გომა, გომა
გაძევება: გომა (70)
მსაჯი: პოლი
18 144 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 5:3 ნიუკასლი**
1:0 სქოულზი (25), 1:1 ბერნარი (35), 2:1, 3:1 ვან ნისტელროი (38, 45), 3:2 შირერი (52), 4:2 ვან ნისტელროი (53), 5:2 სოლსკიაერი (55), 5:3 ბელამი (75)
მანჩესტერ იუნ.: ბარტეზი, ოში, უესლი ბრაუნი, ბლანი (როში 69), სილვესტრი, სოლსკიაერი, სქოულზი, ფორჩუნი, გიგზი, ფორლანი (ვერონი 79), ვან ნისტელროი (რიჩარდსონი 64)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ობრაიენი, ა. ჰიუზი, ჯენასი, დაიერი, სპიდი, ბერნარი (სოლანო 72), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: სოლსკიაერი, ვან ნისტელროი, სპიდი, დაბიზასი
მსაჯი: დანი
67 619 მაყურებელი

**მიდლსბრო 3:1 მანჩესტერ სიტი**
1:0 ეჰიოგუ (53), 2:0 ბოკშიჩი (62), 2:1 ანელკა (68), 3:1 ჯერემი (84)
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ქუინი, ჯერემი, ბოატენგი, გრინინგი, ჯობი, მაკარონე, ბოკშიჩი (უელანი 86)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
მანჩესტერ სიტი: შმეიხელი, რ. დანი, მეტომო (ბენარბია 87), ჯიხაი, რაიტ-ფილიპსი, ბერკოვიჩი, ჰორლოკი, ტიატო, ნ. იენსენი, ანელკა, გოტერი (ჰაკერბი 77)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ტიატო, მეტომო, რაიტ-ფილიპსი, რაიტ-ფილიპსი
გაძევება: რაიტ-ფილიპსი (72)
მსაჯი: ბერი
31 510 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 3:2 არსენალი**
0:1 ბერხკამპი (36), 1:1, 2:1 ბიტი (45, 59პ), 3:1 დელგადო (67), 3:2 პირესი (80)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ბრიჯი, ფ. ფერნანდესი (ტელფერი 87), ოკლი, დელაპი, მარსდენი, ბიტი, დელგადო (ორმეროდი 83)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
არსენალი: სიმენი, ლუჟნი, ს. კემბელი, სიგანი, ეშლი კოული, ვილტორდი, ვიეირა, ედუ (ტურე 61), ლიუნგბერგი (ჯეფერსი 72), ბერხკამპი (პირესი 73), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: მარსდენი, კოული, ვიეირა
გაძევება: კემბელი (57)
მსაჯი: დარკინი
31 797 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ბირმინგემი**
0:1 მორისონი (89)
სანდერლენდი: მაჩო, მაკკარტნი, ბები, კრადოკი, ს. რაიტი, გრეი, კილბეინი, ჯ. მაკკანი, პროქტორი (ბელიონი 56), ფილიპსი, ფლო
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
ბირმინგემი: ვესენი, კუკა, კანინგემი, პერისი, ტებილი, ლაზარიდისი, ა. სისე, სევეჯი (კ. პაუელი 60; დ. ჯონსონი 85), დევლინი (ბ. ჰიუზი 84), მორისონი, ჯონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: გრეი, მაკკანი, რაიტი, სისე, სევეჯი, ტებილი
მსაჯი: სტაილზი
38 803 მაყურებელი

**ამ შაბათ-კვირას** წაგებულთა მწვრთნელები, სხვათა შორის, მსაჯებსაც აკრიტიკებდნენ. მაგალითად, გრემ სუნესმა ჩარლტონში „ბლეკბერნის" მარცხი მსაჯ იური რენიეს გადააბრალა, ჩვენ პენალტი არ მოგვცა, მათ კი თამაშგარედან ჩაუთვალაო და საერთოდაც, რენიეს შეცდომები მთელ მატჩს გადასწვდაო.

საუთჰემპტონის „სენტ მერის" სტადიონის გვირაბთან კი იქაურებისა და „არსენალის" შეხვედრის მსაჯს, პოლ დარკინს არსენ ვენგერი ელოდა, რათა მისთვის საყვედური ეთქვა. „მასპინძელთა სამივე გოლში მსაჯი მონაწილეობდა" — თქვა მარცხის შემდეგ ვენგერმა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სეზონში „საუთჰემპტონს" შინ არ წაუგია და ძალიან უხერხული გუნდის სახელიც დაიგდო.

„მეთოფენი" ადრიდანვე იგებდნენ დენის ბერხკამპის გოლით, თუმცა, ამას მოჰყვა ჯეიმს ბიტის 18 იარდიდან დარტყმული საჯარიმო, ტრავმის შემდეგ მობრუნებულმა დევიდ სიმენმა კი კვლავ გაუშვა მაღალი ბურთი.

ბიტიმ მეორეც გაიტანა, პენალტის ნიშნულიდან: სოლ კემპბელმა აგუსტინ დელგადო მოცელა და წითელი ბარათი მიიღო — ის არ იყო ერთადერთი გაძევებული ამ ტურში — ხოლო როცა დელგადომ თავადაც გაიტანა, „მეთოფენი" მიხვდნენ, რომ ლიდერობას კარგავდნენ და ათკაცა შტურმი წამოიწყეს, რასაც მხოლოდ ერთი გოლი მოჰყვა.

მაგრამ „არსენალი" ლიდერად დარჩა, რადგან „ლივერპულმა" უსაზიზღრესად ითამაშა „ლოფტუს როუდზე" და ასევე 2:3 წააგო. დიტი ჰამანმა საუცხოო დარტყმით გაიტანა, მაგრამ ამ დროს „ლივერპული" უკვე 0:2-ს აგებდა შონ დევისის შორეული დარტყმებით წამხდარი ირჟი დუდეკის უვარგისობის გამო. დევისის პირველი შორეული დუდეკმა პირდაპირ ფაკუნდო სავას ფეხზე მოიგერია, მეორე კი რიკოშეტით გაუშვა. სავამ ერთიც გაიტანა და მილან ბაროშის გოლი არ ეყო ანგარიშის გათანაბრებას.

„თამაში საზიზღრად დავიწყეთ და მერე ველარაფრით გავათანაბრეთ" — თქვა ჟერარ ულიემ, რომლის გუნდიც ბოლოს კაცნაკლული „ფულემის" გატეხვას ლამობდა. მასპინძლებს ალან გომა გაუძევეს.

„ჩელსისაც" გაუძევეს კაცი: სელესტინ ბაბაიარო მაშინ გავიდა მინდვრიდან, როცა „ბოლტონი" 1:0-ს უგებდა სტუმრებს და მაჩანჩალათა სამეულიდანაც იძვრენდა თავს, მაგრამ მოედანზე დიახაც რომ იყო ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, რომელიც მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე და მართლა საუცხოოდ ითამაშა. ჯიმიმ სულ ბოლო წუთზე ჩააჭედა თავურით, პასი კი ჯანფრანკო ძოლასი იყო.

„სატირალი საქმეა — ამბობდა მასპინძელთა თავკაცი სემ ალარდაისი — „ჩელსი" მუჭში გვყავდა."

„ევერტონმა" კი კვლავ მოიგო, ზედიზედ მეექვსედ. დევიდ მოიესის გუნდმა წესად დაიდო: პირველ ტაიმში გაიტანს და მერე მიღწეულს ინარჩუნებს. ახლაც ასე იყო, ტომაშ რაძინსკიმ 35-ე წუთზე გაუტანა „ვესტ ბრომვიჩს", „ევერტონი" კი ლიდერთა შორისაა. მენეჯერის აზრით, პრემიერლიგის ცხრილი საუკეთესოდ გამოიყურება.

არარავის ახსოვს, ბოლოს როდის გაიტანა 4 გოლი „ასტონ ვილამ", თუმცა, ახლა კარგა ხანს ეხსომებათ, რადგან ვილელებმა ულაპარაკოდ დაამარცხეს „ვესტ ჰემი".

კიდევ უფრო ჩაუშავდა საქმეები „ლიდსს", რომელიც „ტოტენჰემთან" დამარცხდა. „ტოტენჰემის" ძველი ბოსი ტერი ვენებლზიც ისედაც ცუდ ხასიათზე იყო და ახლა იმასაც ამბობს, ვებ გუნდის უფროსობამ ახალი „ლიდსის" შენების დრო აღარ მომცესო. ტედი შერინგემის ცაციამ და ვენებლზის გაყიდულმა რობი კინმა იორკშირელების თავს უბედურება დაატეხეს.

სამაგიეროდ, ხალისი და ლაღი ინგლისური ბურთაობა იყო გახურებული „ოლდ ტრეფორდზე", სადაც ორი სერის, ალექსისა და ბობის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. „მანჩესტერმა" 5:3 მოუგო „ნიუკასლს".

ორივე გუნდს აკლდა ნახევარდაცვის ფეხბურთელები, მაგრამ თამაში მეტად საამოდ საცქერი გამოვიდა. რუუდ ვან ნისტელროიმ სამი, ჩვეულებრივ, გოლი გაიტანა, თუმცა, მისი გუნდის დამწყებ ფეხბურთელებს შორის არ იყვნენ, ჰოლვეკი და ბექჰემის ადგილას მოთამაშე სოლსკიაერი უფრო იყვნენ.

საზიზღრად ითამაშა ფაბიენ ბარტეზმა, დაახლოებით ისე, როგორც ნიუკასლელმა მცველებმა, ალან შირერის ურთსავით დაკრული კი თამაშის ნამდვილი მშვენება იყო.

ეს გამოვიდა ძველებური თამაში, ტრადიციულად ღია და ჩვეული ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების ჟამს, ვინაიდან მხოლოდ „ნიუკასლს" შეუძლია, სამი გოლი გაიტანოს და მაინც წააგოს და მხოლოდ „მანჩესტერს" შეუძლია, სამი გოლი გაუშვას და მაინც მოიგოს. თუმცა, შარშან პირიქით გამოვიდა, ასეთია ამათი თამაში.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| XVI ტური |
|---|
| **30 ნოემბერი** |
| არსენალი — ასტონ ვილა |
| ბირმინგემი — ტოტენჰემი |
| ბლეკბერნი — ფულემი |
| ჩელსი — სანდერლენდი |
| ლიდსი — ჩარლტონი |
| მანჩესტერ სიტი — ბოლტონი |
| ნიუკასლი — ევერტონი |
| ვესტ ბრომვიჩი — მიდლსბრო |
| **1 დეკემბერი** |
| ლივერპული — მანჩესტერი |
| **2 დეკემბერი** |
| ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ვილტორდი (არსენალი) | 8 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| შირერი (ნიუკასლი) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 8 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 15 | 10 | 2 | 3 | 33:16 | 17 | 32 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:7 | 12 | 21 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:9 | 5 | 11 |
| 2 ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 26:13 | 13 | 31 | 8 | 5 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 4 | 13 |
| 3 ევერტონი | 15 | 9 | 2 | 4 | 18:15 | 3 | 29 | 7 | 5 | 2 | 0 | 11:5 | 6 | 17 | 8 | 4 | 0 | 4 | 7:10 | -3 | 12 |
| 4 ჩელსი | 15 | 7 | 6 | 2 | 25:13 | 12 | 27 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 14 | 8 | 3 | 4 | 1 | 11:7 | 4 | 13 |
| 5 მანჩესტერი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 7 | 26 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:6 | 8 | 19 | 7 | 1 | 4 | 2 | 9:10 | -1 | 7 |
| 6 მიდლსბრო | 15 | 7 | 3 | 5 | 19:12 | 7 | 24 | 8 | 6 | 2 | 0 | 15:5 | 10 | 20 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:7 | -3 | 4 |
| 7 ტოტენჰემი | 15 | 7 | 2 | 6 | 19:21 | -2 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 11:7 | 4 | 16 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 |
| 8 ნიუკასლი | 14 | 7 | 1 | 6 | 23:22 | 1 | 22 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 18 | 7 | 1 | 1 | 5 | 9:17 | -8 | 4 |
| 9 ბლეკბერნი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:18 | 2 | 20 | 8 | 2 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 |
| 10 საუთჰემპტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 0 | 20 | 8 | 4 | 4 | 0 | 12:6 | 6 | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 4 |
| 11 ასტონ ვილა | 15 | 5 | 4 | 6 | 14:13 | 1 | 19 | 8 | 5 | 1 | 2 | 13:6 | 7 | 16 | 7 | 0 | 3 | 4 | 1:7 | -6 | 3 |
| 12 ფულემი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:20 | 0 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 5 |
| 13 ბირმინგემი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:18 | -3 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 9 |
| 14 ლიდსი | 15 | 5 | 2 | 8 | 19:22 | -3 | 17 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:11 | -4 | 6 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 1 | 11 |
| 15 ჩარლტონი | 15 | 5 | 2 | 8 | 14:19 | -5 | 17 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 7 | 8 | 3 | 1 | 4 | 6:7 | -1 | 10 |
| 16 სიტი | 15 | 5 | 2 | 8 | 15:23 | -8 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:12 | -6 | 7 |
| 17 სანდერლენდი | 15 | 3 | 5 | 7 | 8:17 | -9 | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | -3 | 7 | 8 | 1 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 7 |
| 18 ბოლტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:25 | -8 | 13 | 7 | 1 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 7 | 7 | 2 | 0 | 5 | 9:16 | -7 | 6 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:22 | -12 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 5:14 | -9 | 4 |
| 20 ვესტ ჰემი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | -13 | 12 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:13 | -6 | 3 | 7 | 3 | 0 | 4 | 8:15 | -7 | 9 |

## I დივიზიონი
### I დივიზიონი. XX ტური

**ბრედფორდი 0:5 შეფილდ იუნ.**
0:1 კაბა (14), 0:2 უინდასი (40), 0:3 მერფი (59), 0:4 ბრაუნი (80პ), 0:5 ასაბა (88)

**ბარნსლი 2:0 ნორვიჩი**
1:0 მაკგრეგორი (59), 2:0 ლიტლი (85)

**კრისტალ პალასი 2:0 გრიმსბი**
1:0 დერი (39), 2:0 ადებოლა (61)

**იფსვიჩი 2:1 ძოვენთრი**
1:0 ბენტი (10), 1:1 იუსტიჩი (74), 2:1 კუნაგო (83)

**ლესტერი 2:1 როტერჰემი**
1:0 დიკოვი (50), 2:0 სტიუარტი (64), 2:1 მაკინტოში (66)

**პრესტონი 2:2 ბრაიტონი**
1:0 ლუკეტი (16), 2:0 კრესველი (36), 2:1 როდჯერი (53), 2:2 სიდუელი (72)

**რედინგი 1:0 უოტფორდი**
1:0 უოტსონი (61)

**შეფილდ უენსდი 1:3 პორტსმუთი**
0:1 ტოდოროვი (11), 1:1 ნაითი (27), 1:2 ტოდოროვი (50), 1:3 ონილი (64)

**სტოკი 0:1 მილუოლი**
0:1 რიდი (2)

**უოლსოლი 1:0 ჯილინგემი**
1:0 ხუნიორი (7)

**ვულვერჰემპტონი 2:1 ნოტინგემი**
0:1 ჰერეუდი (45), 1:1 მილერი (76), 2:1 სტარიჯი (80)

**დერბი ქაუნთი — უიმბლდონი**
ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 20 | 15 | 3 | 2 | 43:18 | 48 |
| ლესტერი | 19 | 12 | 5 | 2 | 31:17 | 41 |
| ნორვიჩი | 20 | 10 | 6 | 4 | 33:17 | 36 |
| ნოტინგემი | 19 | 9 | 6 | 4 | 33:17 | 33 |
| ვულვზი | 19 | 9 | 5 | 5 | 38:21 | 32 |
| შეფილდი | 19 | 9 | 5 | 5 | 31:23 | 32 |
| რედინგი | 18 | 10 | 2 | 6 | 22:14 | 32 |
| უოტფორდი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:28 | 31 |
| ბარნსლი | 20 | 8 | 5 | 7 | 29:32 | 29 |
| როტერჰემი | 20 | 7 | 6 | 7 | 32:25 | 27 |
| კრ. პალასი | 19 | 6 | 9 | 4 | 30:23 | 27 |
| ქოვენთრი | 20 | 7 | 6 | 7 | 24:27 | 27 |
| მილუოლი | 20 | 7 | 5 | 8 | 22:30 | 26 |
| უიმბლდონი | 19 | 7 | 4 | 8 | 28:30 | 25 |
| დერბი | 19 | 7 | 3 | 9 | 21:25 | 24 |
| ჯილინგემი | 20 | 6 | 6 | 8 | 20:27 | 24 |
| იფსვიჩი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| პრესტონი | 19 | 4 | 10 | 5 | 30:32 | 22 |
| უოლსოლი | 20 | 6 | 4 | 10 | 29:34 | 22 |
| ბრედფორდი | 20 | 4 | 7 | 9 | 21:37 | 19 |
| გრიმსბი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:39 | 17 |
| სტოკი | 20 | 3 | 5 | 12 | 20:37 | 14 |
| უენსდი | 20 | 2 | 7 | 11 | 16:32 | 13 |
| ბრაიტონი | 18 | 3 | 3 | 12 | 18:35 | 12 |

## მეორე დივიზიონი

80-20 ტური: ბრენტფორდი — უიგანი 0:1; ქრიუ — ბლეკპული 3:0; ჰადერსფილდი — სუინდონი 2:3; ლუთონი — ქუინზ პარკი 0:0; მენსფილდი — ბრისტოლი 4:5; ნორთჰემპტონი — პორტ ვეილი 3:0; ნოტსი — კოლჩესტერი 2:3; ოლდემი — ჩელტენემი 0:0; პიტერბრო — ბარნსლი 1:3; პლიმუთი — სტოკპორტი 4:1; უიკომბი — ტრანმერი 1:3; კარდიფი — ჩესტერფილდი 1:0

## მესამე დივიზიონი

80-19 ტური: როვერსი — რეკსჰემი 0:3; კარლაილი — ბერი 1:2; ექსეტერი — კემბრიჯი 1:2; ჰალი — ბოსტონი 1:0; ლეიტონი — ჰარტლპული 1:2; ლინკოლნი — რაშდენი 1:2; მაკლსფილდი — ტორკი 3:3; როჩდეილი — იორკი 0:1; სკანთორპი — სუონსი 2:0; შრუსბერი — დარლინგტონი 2:2; საუთენდი — ბორნმუთი 0:1

# უყურეთ კაცებს და ისიამოვნეთ



REUTERS

კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი. მასპინძლებმა მიუნხენელი მეშვეთ შოლი (№7) მეკარე ტიმ ვიზესთან ძალიან ახლოს მიუშვეს

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XIV ტური

**ჰამბურგი 1:1 კოტბუსი**

1:0 კარდოზო (47), 1:1 იუსკოვიაკი (90)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰერტა, იუფთილუში, ჰოლერბახი, ლედესმა, მალტრიცი, კარდოზო, მაჰდავიკია, რომეო, ბარბარეზი (ვიკე 90)
მწვრთნელი: კურტ იარა
კოტბუსი: ლენცი, კალუჟნი, როუგრონი, და სილვა, ლიოვი, შრიოტერი, ტ. რიოსტი, რეგეკამპერი (იუსკოვიაკი 75), იუნგნიკელი (ვაგნერი 58), კობილანსკი (ლატუნდი 67), ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ჰოლერბახი, კობილანსკი, იუნგნიკელი, რეგეკამპერი, და სილვა
მსაჯი: მერკი
37 403 მაყურებელი

**მიუნხენი 2:2 ნიურნბერგი**

0:1 შტილე (12), 1:1 ლაუტი (39), 1:2 შტილე (42), 2:2 ლაუტი (71)
მიუნხენი: იენში, როდრიგო კოშტა, ვოტავა, ჰოფმანი, შტრანცლი, შვარცი (რისეტი 29), ჩერნი, ვაისენბერგერი, ჰესლერი (მაქსი 61), შროტი, ლაუტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
ნიურნბერგი: კამპა, შტილე (ნიკლი 62), კოში, პეტკოვიჩი, პოპოვიჩი, ლარსენი, ტოდოროვიჩი (პასლაკი 74), ლ. მიულერი, იაროლიმი, ჟაჟუ (ბელიჩი 89), ს. ჩირიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: იენში, რისეტი, შტრანცლი, ჟაჟუ, შტილე, ლარსენი
მსაჯი: ვაინერი
32 000 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:2 ბაიერნი**

0:1 ბალაკი (9), 0:2 სანტა კრუზი (16)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ბასლერი, კლოსი, ლემბი (ბიელიცა 41), რიდლი, ჰენგენი (მიფსუდი 46), გრამოციისი, ტებერი (რატინიო 67), ლინკოლნი, კლოზე, ტიმი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ბაიერნი: კანი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, კუფური, ლიზარაზუ, ნ. კოვაჩი, იერემისი (ტიამი 59), შოლი (ზე რობერტო 73), ბალაკი, ელბერი (კ. პიზარო 73), სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ლემბი, ბიელიცა, ბასლერი, ლიზარაზუ
მსაჯი: ფროილიხი
40 010 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:0 ჰანოვერი**

1:0 ამანატიდისი (35), 2:0 გლები (54), 3:0 შტეფული (73ს.კ.)
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, რუი მარკეში, ბორდონი (ვენცელი 78), გერბერი, მაისნერი (მუტცელი 69), სოლდო, ამანატიდისი, ბალაკოვი (ზაიცი 88), გლები, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო (შტენდელი 62), კონსტანტინიდისი, ზურავი (დიუფი 46), შტეფული, ლალა, ხაიმე, კრუპნიკოვიჩი (დე გუზმანი 46), სტაინერი, ბობიჩი, იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: მაისნერი, ლალა, ზურავი, ჩერუნდოლო, დიუფი, ხაიმე
მსაჯი: კრუგი
46 000 მაყურებელი

**შალკე 2:2 ჰანზა**

1:0 სანდი (5), 2:0 მპენზა (39), 2:1 ვიბრანი (51), 2:2 პრიკა (86)
შალკე: ფ. როსტი, უდე კამფსისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, მატელანი, პოულსენი, მიოლერი (კმეტში 61), ასამოა (იოდი 83), სანდი, ბიომე, ე. მპენზა
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კოვაჩი, მაული, პერში, ვიბრანი, ლანცი (არვიდსონი 84), პერსონი (ვორბეკი 70), რიდლევიჩი (პრიკა 11), მეგლე
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: კმეტში, მაული, მეგლე
მსაჯი: კემლინგი
60 601 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:2 ბოხუმი**

1:0 დემო (56), 2:0 ვან ჰუტი (69), 2:1 ჰაშემიანი (86), 2:2 გრაულუნდი (90)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტში, ვიტეჩეკი, ემბერსი, კორელი, ულიხი, დემო (შტასინი 71), აიდოო (კორზინეცი 88), ვან ჰუტი, ფელგენაუერი (ვან ჰუდტი 81)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მიხელბეკი (რაისი 78), შინდცილორცი, ტაპალოვიჩი (ჰაშემიანი 62), ფრაიერი, ვოში, ბაკლი (გრაულუნდი 71), კრისტიანსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ებერლი, დემო, ფარენჰორსტი, ვოში
მსაჯი: ფლაიშერი
28 300 მაყურებელი

**არმინია 2:2 ლევერკუზენი**

0:1 ბრდარიჩი (17), 1:1 ვიშნიარეკი (26), 1:2 ჟივკოვიჩი (69), 2:2 ვიშნიარეკი (85)
არმინია: ჰაინი, ლენსე, რაინჰარდტი, ჰანსენი, ბოგუში, კაუფი, მურავსკი (პორკელიო 80), ვატა (დიაბანგი 56), ალბაირაქი (ბოგდანოვიჩი 80), ბრინკმანი, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, სებესკენი, რამელო, ლუსიო, ჟივკოვიჩი, ბალიტში, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი, ნოივილი (შიმაკი 75), ბეროუკა, ბრდარიჩი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
გაფრთხილება: ჰანსენი, ბოგუში, რამელო
მსაჯი: ფანდელი
24 100 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:0 დორტმუნდი**

1:0, 2:0 კლიმოვიჩი (20, 55)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ფრანცი, შნოორი, რაუ, კარჰანი, შარპე, ეფენბერგი, პრეგერი (ც. მიულერი 80), პონტე (აკონორი 77), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი (ჟ. რეინა 62), ვორნსი, დედე, შ. როიტერი (მაინრიხი 62), ფრინგსი, კელი (ამოროზო 74), რიკენი, როსიცკი, კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: პრეგერი, შარპე, ეფენბერგი, რიკენი, ევერტონი, კელი
მსაჯი: შტაინბორნი
19 297 მაყურებელი

**ჰერტა 0:1 ვერდერი**

0:1 აილტონი (10)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი (ტრეზოკი 51), ნენე, შმიდტი, ჰარტმანი (ბაინლიხი 54), მარქსი (კარვანი 69), მარსელინიო, გოორი, ალვეში, პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ვერდერი: ბორელი, ბაუმანი, ვერლაატი (სკრიპნიკი 86), კრისტაინი, სტალტერი, ფერნანდესი, მიკოუ, ლისტში, მიკუ, აილტონი (რაისი 81), დაუნი (ბოროვსკი 74)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: სტალტერი, ლისტში
მსაჯი: შიპელი
40 166 მაყურებელი

**ფრეები** ფრენა-ფრენით წამოვიდა ბუნდესლიგაში — ტურში ხუთი ფრეა, აქედან ოთხი ერთნაირი ანგარიშით.

პოპულარულ 2:2-ებზე თხრობა ბავარიიდან დავიწყოთ. მიუნხენში ნიურნბერგელები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ და მეტსაც უტევდნენ.

პეტერ პაკულტის გუნდს კი მხსნელად ერთხელაც მოევლინა 21 წლის შემტევი ბენჟამინ ლაუტი — მან ხომ ორივეჯერ გამათანაბრებელი შეაგდო.

„ნიურნბერგიდან" კი ასევე ჯეელი, ოღონდ მცველი, 20 წლის ტომაშ შტელე ბოგინობდა.

და „ნიურნბერგს" უნდა მოეგო, მისი მოსაგები თამაში იყო, მაგრამ მისმა ცხვირაწეულმა მაკედონიელმა თავდამსხმელმა საშა ჩირიჩმა პირველ ტაიმში პენალტი გააცუდა.

კარგი 2:2 გამოვიდა ბილეფელდში. „არმინიამ" შესაშური ბრძოლისუნარიანობა და ჟინი გამოამჟღავნა და თამაშიც ამაღ შემოატრიალა. დუბლი ამ შეხვედრაშიც იყო — პოლონელმა არტურ ვიშნიარეკმა „ლევერკუზენს" მოგება არ დაანება. ამ ფრით კლაუს ტოპმოლერის გუნდს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია — ცხრილის მე-11 საფეხურზე დარჩა.

კარგი ჯახი იყო მიონხენგლადბახში. იქაც ერთი გუნდი 2:0 იგებდა, მაგრამ ასევე ეკლიან მავთულ-ღობეს გადააწყდა. თანაც „ბოხუმმა" ბოლო ხუთ წუთში გაიგიჟა თავი — ვაჰიდ ჰაშემიანმა და პეტერ გრაულუნდმა მიწურულში იყოჩაღეს.

მანამდე კი „გლადბახმა" ორწუთიანი ინტერვალით შეაგდო — სლოვაკმა შუახაზელმა იგო დემომ პენალტის ნიშნულიდან გაიტანა, რასაც ვან ჰუტის გოლი მოჰყვა.

მეოთხე 2:2-შიც ფაქტობრივად იგივე სიუჟეტი იყო — „შალკე" 2:0-ს იგებდა დანიელ ებე სანდის და ბელგიელი ემილ მპენზას გოლებით, რომლებიც „შალკეს" მიერ „ჰანზას" 34-წუთიან ხუთვაში გამოცხვნენ.

მაგრამ როსტოკელები არ შედრკნენ და კიდევ ერთი ნიმუში გვიბოძეს გერმანული შეუპოვრობისა.

მოკლედ, უყურეთ ბუნდესლიგას და ისიამოვნეთ კაცური ბრძოლით.

ერთი, „ჰანოვერ 96" გამოდგა მართლაც ჯაბანი. ფელიქს მაგათის „შტუტგარტი" ძალიან მწყობრი, მობილური და კარგად დაბალანსებული გუნდია — მასპინძლებმა ზედმიწევნით შემტევი ფეხბურთი აჩვენეს და ამ შთამბეჭდავი გამარჯვებით მესამე ადგილზე ალზევდნენ.

გოლები ასე გავიდა — იონას ამანატიდისმა ახლოდან შეაგდო კევინ კურანის პასით, 21 წლის ბელარუსმა ალექსანდრ გლებმა კი ცეკვით გაიარა „ჰანოვერის" დაცვა და ისე შეაგდო, ხოლო დანიელ შტეფულის ავტოგოლის გატანა კურანიმ აიძულა.

შმაგად გაისარჯა „კოტბუსი" და სუსხიანი ჰამბურგიდან ნანატრი ქულა წაიღო. როგორც იქნა, კვლავ შეგვახსენა თავი პოლონელმა ანჯეი იუსკოვიაკმა — ამ ფორვარდს კარგა ხანია, თავი არაფრით გამოუჩენია.

მაგრამ სილამაზეზე თუ მიდგა საქმე, 34 წლის არგენტინელი ნახევარმცველი რუდოლფო [illegible] უნდა შევაქოთ — მან დაახლოებით რვა მეტრიდან გაიტანა ჰაერში შემართულმა.

შინ შერცხვა ბოლო დროს გაყეყეჩებული ბერლინის „ჰერტა". დედაქალაქელები ვინძლო ხუთშაბათის მატჩზე ფიქრობდნენ ლონდონის „ფულემთან" — უეფას თასზე პაექრობა მათთვის ალბათ ბუნდესლიგაზე პრესტიჟულია — ყოველ შემთხვევაში, „ვერდერთან" „ჰერტამ" ასეთი შთაბეჭდილება დატოვა.

თუმც „მუსიკოსებს" გარჯას როდი ვუკარგავთ — „ვერდერმა" მეორე ადგილზე აინაცვლა და სამომავლოსეზონოდ ჩემპიონთა ლიგასაც დაუმიზნა. ხოლო ბრაზილიელი აილტონი, ვინაც „ჰერტას" თავურით გაუტანა, ბუნდესლიგელ ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

კლიმოვიჩს ლათინოამერიკული ფესვები არ აქვს, მაგრამ არგენტინელია და დიეგო ჰქვია — მან თითო გოლი გაუტანა ტაიმებში ჩემპიონ „დორტმუნდს" და მათიას ზამერის გუნდი მეორედან მეოთხე ადგილზე ჩააყუდა — ვოლფსბურგელთა სული, გული და ჯიგარი კი შტეფან ეფენბერგი იყო.

აკადემიურ სტილში მოიგო მიუნხენის „ბაიერნმა". მიხაელ ბალაკმა მეჰმეთ შოლის პასის შედეგად თავზე გადაავლო ბურთი ტიმ ვიზეს, ხოლო პარაგვაელმა სანტა კრუზმა შეიდი წუთის შემდეგ ჯარიმიდან ჩაწოდებულზე იხეირა. თუმც ნამატჩევს ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, ნურას უკაცრავად, გამარჯვება ძნელ ბრძოლაში გამოვჭედეთო.

**დავით თავართქილაძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 31:14 | 17 | 32 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:9 | 13 | 19 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 13 |
| 2 ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 28:25 | 3 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:11 | 6 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:14 | -3 | 10 |
| 3 შტუტგარტი | 14 | 6 | 6 | 2 | 24:15 | 9 | 24 | 7 | 4 | 3 | 0 | 15:5 | 10 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 4 დორტმუნდი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:11 | 8 | 24 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:5 | 4 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 4 | 11 |
| 5 შალკე | 14 | 6 | 5 | 3 | 18:13 | 5 | 23 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 12 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 |
| 6 ჰერტა | 14 | 6 | 4 | 4 | 16:13 | 3 | 22 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 11 | 7 | 3 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 11 |
| 7 ვოლფსბურგი | 14 | 7 | 1 | 6 | 17:16 | 1 | 22 | 7 | 6 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 18 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:12 | -6 | 4 |
| 8 ბოხუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 29:23 | 6 | 21 | 7 | 3 | 1 | 3 | 13:9 | 4 | 10 | 7 | 3 | 2 | 2 | 16:14 | 2 | 11 |
| 9 მიუნხენი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:17 | 3 | 21 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:7 | 7 | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 |
| 10 ჰამბურგი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:20 | -3 | 20 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 7:13 | -6 | 4 |
| 11 ლევერკუზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:22 | -3 | 17 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | -3 | 8 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 0 | 9 |
| 12 ნიურნბერგი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:23 | -5 | 17 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:12 | -2 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 13 გლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:14 | 4 | 16 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:4 | 8 | 12 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 4 |
| 14 ჰანზა | 14 | 4 | 4 | 6 | 17:16 | 1 | 16 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:10 | -3 | 5 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 4 | 11 |
| 15 ჰანოვერი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:30 | -8 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 11:17 | -6 | 5 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:13 | -2 | 10 |
| 16 არმინია | 14 | 4 | 3 | 7 | 15:24 | -9 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 13 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:18 | -13 | 2 |
| 17 კოტბუსი | 14 | 2 | 3 | 9 | 8:28 | -20 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | -8 | 4 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:17 | -12 | 5 |
| 18 ლაუტერნი | 14 | 1 | 4 | 9 | 12:24 | -12 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | -3 | 5 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 2 |

### XV ტური

**1 დეკემბერი**

კოტბუსი — მიუნხენ 1860
ნიურნბერგი — დორტმუნდი
ბაიერნი — ჰერტა
ვერდერი — შტუტგარტი
ჰანოვერი — შალკე
ჰანზა — გლადბახი
ბოხუმი — არმინია
ლევერკუზენი — ჰამბურგი
ლაუტერნი — ვოლფსბურგი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 10 |
| აილტონი (ვერდერი) | 10 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 9 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 8 |
| კურანი (შტუტგარტი) | 8 |

## მეორე ბუნდესლიგა

### XIV ტური

**ალენი 1:1 უნიონი**

1:0 გორშლუტერი (28), 1:1 ყიდოლოვი (64)

**ალემანია 1:2 ვალდჰოფი**

1:0 მპიზაკი (27), 1:1 ბლასნეგერი (49), 1:2 ზინოვი (82)

**დუისბურგი 3:0 ობერჰაუზენი**

1:0 ებერსი (2), 2:0 ვანა (56), 3:0 ებერსი (68)

**აინტრახტი 1:0 მაინცი**

1:0 შური (19)

**ბურგჰაუზენი 1:1 ზანკტ პაული**

1:0 ბროიხი (53), 1:1 მაიერი (59)

**ფიურტი 1:2 ტრიერი**

0:1 კელერი (16), 1:1 ბირკე (84), 1:2 ვინკლერი (90)

**კარლსრუე 0:0 როიტლინგენი**

**ლიუბეკი 2:1 ბრაუნშვაიგი**

0:1 კულიგი (44ს.კ.), 1:1 შვაისინგი (65), 2:1 ბარვოლფი (86)

**კიოლნი — ფრაიბურგი**

ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 13 | 7 | 6 | 0 | 29:15 | 27 |
| აინტრახტი | 14 | 8 | 3 | 3 | 25:12 | 27 |
| ფრაიბურგი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:11 | 26 |
| ტრიერი | 14 | 7 | 2 | 5 | 24:17 | 23 |
| ლიუბეკი | 14 | 7 | 1 | 6 | 26:20 | 22 |
| ალემანია | 14 | 6 | 4 | 4 | 23:19 | 22 |
| ობერჰაუზენი | 14 | 6 | 4 | 4 | 16:15 | 22 |
| ბურგჰაუზენი | 14 | 5 | 6 | 3 | 23:15 | 21 |
| მაინცი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:14 | 21 |
| ფიურტი | 14 | 5 | 6 | 3 | 20:15 | 21 |
| დუისბურგი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:17 | 21 |
| როიტლინგენი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:21 | 21 |
| უნიონი | 14 | 3 | 6 | 5 | 15:28 | 15 |
| ალენი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:22 | 13 |
| კარლსრუე | 14 | 2 | 6 | 6 | 13:22 | 12 |
| ზტ. პაული | 14 | 2 | 3 | 9 | 20:34 | 9 |
| ბრაუნშვაიგი | 14 | 2 | 3 | 9 | 15:31 | 9 |
| ვალდჰოფი | 14 | 2 | 2 | 10 | 14:33 | 8 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-18 ტური: ესენი — ბაბელსბერგი 3:1; მიუნსტერი — ქემნიცი 0:0; ვატენშაიდი — დინამო 3:1; დორტმუნდი (მ) — ლევერკუზენი (მ) 1:0; აუე — კიოლნი (მ) 1:1; ფერლი — ვერდერი (მ) 1:3; ჰამბურგი (მ) — პადერბორნი 0:0; კილი — იურდინგენი 3:0. დრეზდენი — ოსნაბრიუკი დღეს გაიმართება

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-19 ტური: აალენი — პფულენდორფი 2:3; ჰოფენჰაიმი — ელვერსბერგი 4:2; რეგენსბურგი — აინტრახტი (მ) 2:0; ულმი — საარბრიუკენი 2:0; ნოინკირხენი — შვაინფურტი 0:4; კაიზერსლაუტერნი (მ) — დარმშტადტი 1:1; უნტერჰაჰინგი — კიკერსი 3:1; ბაიერნი (მ) — ზიგენი 0:1; ოფენბახი — აუგსბურგი 2:0

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XI ტური

**ბარსელონა 0:0 რეალი**

ბარსელონა: ბონანო, რაისიგერი, ფ. დე ბური, პუიოლი, ხავი, კოკუ, გაბრი, მოტა (ოვერმარსი 77), მენდიეტა, რიკელმე (სავიოლა 87), კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, სოლარი (ბრავო 60), კამბიასო, მაკელელე (მაკმანამანი 63), ფიგუ, რაული, გუტი (მორიენტესი 78)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ფიგუ, გუტი, გაბრი, სოლარი, მოტა, ელგერა, დე ბური
მსაჯი: მედინა კანტალეხო
100 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:0 ბეტისი**

1:0 ტორესი (13)
ატლეტიკო: ესტებანი, პიბიჩი, გარსია კალვო, კოლოჩინი, ნაგორე (ალბერტინი 51), მოვილია, ი. სტანკოვიჩი (ემერსონი 80), აგილერა, ფ. ტორესი, კორეა (ხორხე 63), ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი, ასუნსაო, ვარელა (ბენხამინი 87), კაპი, არზუ (ფერნანდო 61), ალფონსო (კასასი 72), დენილსონი, ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: აგილერა, დენილსონი, კორეა, ხუანიტო, მოვილია, ალფონსო, ალბერტინი, კაპი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
40 000 მაყურებელი

**სელტა 0:0 ოსასუნა**

სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, მენდესი, სერხიო, ჯოვანელა, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო (დორივა 82), ედუ, გუსტავო ლოპესი (ხესული 75), კატანია (მაკკარტი 69)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, მატეო, კრუჩაგა, რივერო (მუნიაინი 82), ანტონიო ლოპესი, ალფრედო (მუნიოსი 78), მოა (გასიედო 58), პაბლო გარსია, ივან როსადო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მატეო, მენდესი, მოსტოვოი, ივან როსადო, ანტონიო ლოპესი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
15 000 მაყურებელი

**ბილბაო 4:1 ესპანიოლი**

0:1 მაქსი (15), 1:1 ლარასაბალი (19პ), 2:1 გურპეგი (49), 3:1 ურსაისი (70), 4:1 ეჩებერია (78)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ლაკრუსი, მურილიო, ხავი გონსალესი, ალკისა, გურპეგი, ესკერო (ი. გერერო 83), ხ. ეჩებერია (ტიკო 89), ურსაისი, არიაგა (იესტე 61)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ესპანიოლი: არგენსო, დავიდ გარსია, ამაია, ნავასი, დომორო, მორალესი, რობერი, მაქსი (ფრედსონი 76), დე ლა პენია (მილოშევიჩი 63), ალექს ფერნანდესი (ლუკე 63), ტამუდო
მწვრთნელი: რამონ მოია
გაფრთხილება: რობერი, რობერი
გაძევება: რობერი (67)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
33 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 ვალიადოლიდი**

1:0, 2:0 მისტა (10, 30)
კოლსამ ვერ გაიტანა პენალტი (88, მეკარე)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, მარჩენა, კარბონი, გარიდო, ალბელდა, ბარახა (დე ლოს სანტოსი 69), ანგულო, კარლი გონსალესი, ხუან სანჩესი (ფ. აურელიო 83), მისტა (კარეუ 75)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, მარიო (რიკეტი 69), ტორეს გომესი, მუსტაფა, ოსკარ სანჩესი (აგანსო 46), კოლსა, ფერნანდო სალესი, სოუზა, პაჩონი
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ბარახა, ტორეს გომესი, ბიზარი
მსაჯი: კარმონა მენდესი
50 000 მაყურებელი

# გოჭი მაგ იუდას!



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — რეალი. ლუიშ ფიგუს გამო დიდი აურზაური იყო

**მალიორკა 1:1 ვილიარეალი**

0:1 პალერმო (22), 1:1 პანდიანი (56)
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ოლაიზოლა, პოლი, ნადალი, იბაგასა, ნოვო, რიერა, მარკოსი, ეტოო, პანდიანი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, ბერუე, უნაი, ხორხე ლოპესი (კალეხა 82), ხოსიკო (კიკე მედინა 84), სენა, პალერმო, ვიქტორი, გიარე (ხავი ვენტა 69)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: არუაბარენა, ხოსიკო, რიერა, პოლი, ბერუე
მსაჯი: ესკინას ტორესი
16 400 მაყურებელი

**მალაგა 0:0 ალავესი**

მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამბა, რომერო (მანუ 62), სანდრო (ლეკო 62), დული ვალდესი, დარიო სილვა (ედგარი 82)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია (მაგნო 68), კარმონა, ტელიესი, ჯელი, ლორენსი, მარა (ილიე 77), დესიო, ასტუდილიო, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 68), კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: კრუიფი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
15 000 მაყურებელი

**უელვა 2:1 რასინგი**

0:1 პაბლო სიერა (2), 1:1, 2:1 რაულ მოლინა (89, 90)
უელვა: ლუკა, სერხიო (რაულ მოლინა 84), ალექს პერეირა, ხავი გარსია, არმონი (დავიდ გალიეგო 52), კუბილო, ლორენი, ამაზო (ვიკეირა 75), კაიკუ, ბერმეხო, ხისკო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
რასინგი: სებალიოსი, ნერუ, სიეტესი, ნაფტი (მატაბუენა 75), მორა, იმმელი, პაბლო სიერა, პინედა, ხ. გერერო, რეგუერო (ჩიკა 62), მუნიტისი (დიეგო ალონსო 79)
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: სიეტესი, ნაფტი, ბერმეხო, კუბილო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
18 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:0 სოსიედადი**

რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, გრაფი, მაური, პაბლო სანსი (კამუნიასი 84), ონოპკო, მიჩელი, კვიდო, ხულიო ალვარესი, პერაგონი, ბოლო (ბოლიჩი 71)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო, ხაურეგი, გაბილონდო, ხოხლოვი, კარპინი, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: პაბლო სანსი, გაბილონდო, კარპინი
მსაჯი: უნდიანო მალენკო
10 000 მაყურებელი

**სევილია 1:1 დეპორტივო**

1:0 ანტონიტო (3), 1:1 მაკაი (48)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ოსკარი (ხ. როდონდო 57), გალიარდო (ბოდესტა 73), ვ. სალასი (მოიზესი 69), ფრედი, მარკოს ვალესი, კასკერო, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, სეზარი, კაპდევილა, ვქტორი, მაურო სილვა, ფრანი (ამავისკა 80), სერხიო, ვიქტორი (დუშერი 64), მაკაი, ლუკე (ტრისტანი 60)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ვქტორი, ვიქტორი, ოსკარი, მარკოს ვალესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
28 365 მაყურებელი

„ბარსელონა" — „რეალის" მატჩის მთავარ შედეგად შესაძლოა, „კამპ ნოუს" დისკვალიფიკაცია იქცეს, რასაც მთელი ესპანეთი მოითხოვს — ცხადია, კატალონიელთა გარდა.

რა საკვირველია, არავის შეპპარვია ეჭვი, რომ ბარსელონელი ქომაგები „რეალს" საშინელ დახვედრას მოუწყობდნენ, ფიგუს კი, ძველ ბარსელონელს — უსაშინლესს. „კამპ ნოუს" დიქტორმა მანუელ ვიჩმა, ვინაც ამ საქმეს 45 წელია ემსახურება, მატჩის წინ ინტერვიუში თქვა, ფიგუს გამოცხადების მერე პაუზას გავაკეთებ, ხალხს გულის მოფხანის საშუალება რომ მივცეო. ვიჩი ასეც მოიქცა, ხოლო მოგვიანებით, როცა ფიგუს მისამართით ბოთლების სეტყვა წავიდა, ის უკვე ხალხს ეხვეწებოდა, დამშვიდდითო.

პოლიციამ ტრიბუნებზე არეულობის მოთავე რამდენიმე კაციც დააკავა, მათგან ერთი შავკანიანი უცხოელი აქტიურობდა, რომელიც დაცვას შეებრძოლა კიდეც. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის პატრიკ კლუივერტის ძმა იყო, იმ კლუივერტისა, მოედანზე რომ ბობოქრობდა და რამდენჯერმე მეტოქისკენ საჩხუბრად გაიწია. კლუივერტის ძმა მკაცრად გააფრთხილეს და გაუშვეს.

რას აღარ ესროდნენ მადრიდელებს, ტრადიციული ხურდა ფულისა და სანთებელების გარდა დაცვის გვერდით სასწაულად გაპარებული ვისკის ბოთლებსაც, ხოლო მავანმა გონებამახვილმა გულშემატკივარმა სტადიონზე გოჭის თავიც შეაპარა — ცხადია, საჭმელად არა.

პლაკატებს ხომ ნულარ იკითხავთ: „კატალონიას ყველაფერი ახსოვს, იუდავ!" — ფიგუსადმი მიძღვნილი ეს პლაკატი ერთადერთი იყო უცენზურო სიტყვა რომ არ ეწერა. გვარიანად აგინეს იეროსა და რონალდოსაც, რომლებიც საერთოდ არ ჩასულან ბარსელონაში. რამდენიმე კაცი მოედანზე გადახტომასაც ეცადა, განსაკუთრებით თავზეხელაღებულებმა კი VIP-ლოჟის შტურმით აღება სცადეს. ისტერიამ პიკს 70-ე წუთზე მიაღწია, როცა ფიგუ „რეალის" მესამე კუთხურის ჩასაწოდებლად გაემართა.

შეგახსენებთ, რომ, როცა ფიგუ პირველად დაბრუნდა „კამპ ნოუზე", ვისენტე დელ ბოსკემ მას სასტიკად აუკრძალა კუთხურების ჩაწოდება, ზედმეტად რომ აღარ გაეღიზიანებინა იქაურები. ამჯერად ფიგუმ თავისი მოვალეობის შესრულება გარისკა, ხოლო მისკენ ნასროლი ბოთლების შეგროვებას ისე გულმოდგინედ შეუდგა, ქომაგები სულ მთლად გააცოფა. ამ დროს მისგან ნახევარ მეტრში შუშის ბოთლი დაეცა და არბიტრმა ლუის მედინა კანტალეხომ მატჩის შეწყვეტა ბრძანა. ქომაგების დამშვიდებას დაახლოებით თხუთმეტი წუთი დასჭირდა.

არეულობის გარდა „კამპ ნოუზე" ფეხბურთიც იყო, რომელსაც პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ხუთ კონტინენტზე, სუპერკლასიკო პირველად აჩვენეს ჩინეთში.

საყურებელი კი იყო, მაგრამ მთავარი ხალხი აკლდა. არ იყვნენ სუპერკლასიკოს ვეტერანები — იერო და ლუის ენრიკე, რომელთაც 24-ჯერ და 20-ჯერ უთამაშიათ ბარსელონურ-მადრიდულ დაპირისპირებაში. ზინედინ ზიდანს „რაიოსთან" მატჩის შემდეგ ზურგის ტკივილი ტანჯავს, ხოლო რონალდო სეულიდან, სადაც ბრაზილიამ წვიმაში ამხანაგურად [illegible] კი ორი გოლი შეაგდო, [illegible] დაბრუნდა და ამ უქმეებზე 39 გრადუსი სიცხით იწვა.

მადრიდელთა საბედნიეროდ იერო საიმედოდ შეცვალეს პავონმა და ელგერამ, ხოლო რონალდოს არყოფნის მიუხედავად ლუის ვან გაალმა მაინც თავი დაიზღვია და სავიოლას სათადარიგოდ ყოფნის ხარჯზე დაცვა გააძლიერა.

ბოლოსკენ შევიდა თამაშდანატრებული მარკ ოვერმარსი, რომელმაც ერთხელ ისე დაარტყა, მატჩის გმირად გახდომა შეეძლო.

საბოლოოდ, ბონანოს ბევრი საქმე არც ჰქონია, კასილიასის კართან კი ერთი მეორეზე იქმნებოდა სახიფათო მომენტები. 48-ე წუთზე კლუივერტმა გაიტანა კიდეც, თუმცა მსაჯმა შეცდომით არ ჩათვალა — გაბრი ოფსაიდში არ იყო.

ერთი სიტყვით, „რეალი" ფრით კმაყოფილი უნდა იყოს, თუმცა სერია გრძელდება — გაისად 20 წელი შესრულდება, რაც მადრიდელებს ჩემპიონატის მატჩებში „კამპ ნოუზე" არ მოუგიათ.

ნამატჩევს ხუან გასპარმა, „ბარსას" პრეზიდენტმა თქვა: „ფიგუმ მაყურებელი პროვოკაციაზე წამოაგო". ხოლო ლუის ვან გაალი უფრო შორს წავიდა: „ისტერია მატჩამდე გაზეთებმა გააჩაღეს, რაც ფიგუმ უფრო გაალვივა. ის არასპორტული საქციელისთვის გაძევებას იმსახურებდა. თამაშით კი კმაყოფილი ვარ, ჩვენ კარში 28-ჯერ დავარტყით, მეტოქემ ერთხელ. გოლიც გავიტანეთ და შეცდომით არ ჩაგვითვალეს. მეტი რა უნდა გვექნა?"

თავში ნახსენებ შესაძლო დისკვალიფიკაციაზე უეფას სადისციპლინო კომიტეტის წევრმა, კატალონიელმა ხოსეპ ვილიასეკამ თქვა, საამისოდ მიზეზი არ არსებობს, ფიგუს ხომ არაფერი მოხვედრიაო.

ტურის სხვა მატჩების მიმოხილვისთვის ადგილი არ გვრჩება, ამიტომ მოკლედ ვთქვათ: ლიდერი უცვლელია.

**გიორგი დარჯანია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სოსიედადი | 11 | 6 | 5 | 0 | 21:13 | 8 | 23 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 4 | 11 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:5 | 4 | 12 |
| 2 მალიორკა | 11 | 7 | 1 | 3 | 17:13 | 4 | 22 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 12 |
| 3 ვალენსია | 11 | 6 | 3 | 2 | 20:7 | 13 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 14:3 | 11 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 4 რეალი | 11 | 4 | 6 | 1 | 17:10 | 7 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 11 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:6 | -1 | 7 |
| 5 ატლეტიკო | 11 | 4 | 6 | 1 | 18:12 | 6 | 18 | 6 | 2 | 4 | 0 | 9:6 | 3 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 8 |
| 6 სელტა | 11 | 5 | 3 | 3 | 13:8 | 5 | 18 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 9 |
| 7 დეპორტივო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:14 | 1 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:8 | 1 | 11 |
| 8 ბეტისი | 11 | 4 | 5 | 2 | 19:12 | 7 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 6 | 1 | 4 | 1 | 10:9 | 1 | 7 |
| 9 მალაგა | 11 | 4 | 5 | 2 | 17:16 | 1 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | -2 | 6 |
| 10 ბარსელონა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:13 | 4 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 13:5 | 8 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 11 ბილბაო | 11 | 4 | 3 | 4 | 18:22 | -4 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:14 | -5 | 5 |
| 12 ვალიადოლიდი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:14 | -3 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 8 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:9 | -3 | 6 |
| 13 ალავესი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:21 | -7 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:16 | -9 | 5 |
| 14 ვილიარეალი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:12 | -1 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 7 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 15 რასინგი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:13 | -2 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:8 | -2 | 6 |
| 16 სევილია | 11 | 2 | 5 | 4 | 8:10 | -2 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:5 | -3 | 2 |
| 17 რაიო | 11 | 2 | 3 | 6 | 13:19 | -6 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 10:10 | 0 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 3 |
| 18 ოსასუნა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:18 | -7 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:11 | -6 | 3 |
| 19 უელვა | 11 | 2 | 2 | 7 | 9:22 | -13 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | -6 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 4 |
| 20 ესპანიოლი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:20 | -11 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | -9 | 3 |

### XII ტური
**1 დეკემბერი**

ესპანიოლი — რაიო ვალეკანო
ბეტისი — ბილბაო
ოსასუნა — ატლეტიკო
ვალიადოლიდი — სელტა
ალავესი — ვალენსია
რასინგი — მალაგა
ვილიარეალი — უელვა
დეპორტივო — მალიორკა
რეალი — სევილია
სოსიედადი — ბარსელონა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 8 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 7 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 7 |
| პანდიანი (მალიორკა) | 7 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 6 |
| ურსაისი (ბილბაო) | 6 |

### სეგუნდადივიზიონი
### XII ტური

**ალმერია 2:1 ეიბარი**
0:1 მიგელი (61), 1:1 ხუანლუ (75), 2:1 ბილიჩი (86)

**კომპოსტელა 0:1 ელჩე**
0:1 მეკა (71)

**ხეტაფე 0:1 ბადახოსი**
0:1 მოლისტი (66პ)

**ლევანტე 2:2 ალბასეტე**
0:1 დური (13), 1:1 ფოური (17), 1:2 პარი (69), 2:2 კონგო (90)

**ფეროლი 2:1 ხერესი**
1:0 პაბლო (40), 2:0 პეზაროსი (68), 2:1 მენა (79)

**მურსია 0:1 ლეგანესი**
0:1 მიგელ ანხელი (69პ)

**ოვიედო 1:1 ნუმანსია**
1:0 ხენი (19პ), 1:1 მ. ნუნიესი (79)

**სარაგოსა 1:0 ტერასა**
1:0 პაკო ხემესი (28)

**კორდობა 0:1 პოლი ეხიდო**
0:1 ლუის ხილი (71)

**სალამანკა 2:1 ლას პალმასი**
0:1 ბაიანო (35), 1:1 აურელიო (48), 2:1 კიკე მარტინი (74)

**ტენერიფე 2:2 სპორტინგი**
1:0 მარტი (27), 1:1 ვილა (52), 2:1 პაუნოვიჩი (60), 2:2 ვილა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევანტე | 12 | 6 | 5 | 1 | 25:15 | 23 |
| სარაგოსა | 12 | 6 | 4 | 2 | 13:9 | 22 |
| ალბასეტე | 12 | 5 | 6 | 1 | 16:9 | 21 |
| ხერესი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:12 | 21 |
| ეიბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 13:10 | 20 |
| ტერასა | 12 | 4 | 7 | 1 | 14:10 | 19 |
| ფეროლი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:13 | 19 |
| მურსია | 12 | 5 | 3 | 4 | 12:7 | 18 |
| ბადახოსი | 12 | 5 | 2 | 5 | 9:14 | 17 |
| ლას პალმასი | 12 | 3 | 6 | 3 | 14:12 | 15 |
| ელჩე | 12 | 3 | 6 | 3 | 12:10 | 15 |
| ხეტაფე | 12 | 4 | 3 | 5 | 19:19 | 15 |
| სალამანკა | 12 | 4 | 3 | 5 | 9:10 | 15 |
| ტენერიფე | 12 | 2 | 8 | 2 | 14:13 | 14 |
| ეიბარი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:13 | 13 |
| ნუმანსია | 12 | 3 | 3 | 6 | 12:16 | 12 |
| ალმერია | 12 | 2 | 6 | 4 | 13:19 | 12 |
| კომპოსტელა | 12 | 2 | 5 | 5 | 11:13 | 11 |
| ლეგანესი | 12 | 2 | 5 | 5 | 8:12 | 11 |
| კორდობა | 12 | 2 | 5 | 5 | 6:10 | 11 |
| ოვიედო | 12 | 2 | 4 | 6 | 13:19 | 10 |
| სპორტინგი | 12 | 1 | 7 | 4 | 6:12 | 10 |

# რა საჭიროა ფული?

## იტალია

### სერია A. XI ტური

**მილანი 1:0 ინტერი**

1:0 სერჯინიო (12)

მილანი: დიდა, შიმიჩი, კოსტაკურტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი 65), ზეედორფი, სერჯინიო (შამოტი 82), რივალდო, ფ. ინძაგი (შევჩენკო 68)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ინტერი: ტოლდო, ვივასი (ბ. ძანეტი 46), კორდობა, ფ. კანავარო, კოკო, ს. კონსეისაუ (ოკაკა 74), დი ბიაჯო, ფარინოსი (კალონი 82), მორფეო, ვიერი, რეკობა

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: დი ბიაჯო, კორდობა, ინძაგი, სერჯინიო

მსაჯი: პაპარესტა

80 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 ბოლონია**

0:1 სინიორი (65პ), 1:1 იულიანო (85)

იუვენტუსი: ბუფონი, ფერარა, ფრეზი, იულიანო, კ. ძენონი, ბაიოკო (კამორანეზი 61), ტაკინარდი, ძამბროტა, ნედვედი (დელ პიერო 67), მ. სალასი (დი ვაიო 61), ზალაიეტა

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, ძანჩი, პარამატი, ნერვო (ფრარა 85), კ. ამორუზო, ოლივე (ბელუჩი 90), ლ. კოლუჩი, შმიტი, ხ. კრუზი, სინიორი (ლოკატელი 68)

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

გაფრთხილება: ბუფონი, შმიტი, ოლივე, პალიუკა, პარამატი

მსაჯი: ფარინა

36 544 მაყურებელი

**ლაციო 4:0 მოდენა**

1:0 კორადი (25), 2:0 ლოპესი (31), 3:0 სეზარი (71), 4:0 კორადი (89)

ლაციო: პერუცი, სტამი, ნეგრო, მიხაილოვიჩი (პანკარო 78), ფავალი, ფიორე (ლივერანი 71), სიმეონე, დ. სტანკოვიჩი, სეზარი, კ. ლოპესი (კიეზა 75), კორადი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, პავანი, ბალესტრი, პონცო (ძამბონი 69), ჯ. კოლუჩი (ფაბრინი 63), მილანეტო, მაური, სკული, დ. კამარა (პაზინო 71)

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: კამარა, ლოპესი

მსაჯი: ტრენტალანჯე

50 000 მაყურებელი

**პარმა 3:0 რომა**

1:0 ბონაცოლი (10), 2:0 მუტუ (22პ), 3:0 ბონაცოლი (72)

პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა, ფერარი, ჟუნიორი, ლამუში, ბაროնე (მატეო ბრიგი 90), ე. ფილიპინი, ნაკატა (ბრეშიანო 84), ბონაცოლი (ჯილარდინო 86), მუტუ

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

რომა: ანტონიოლი, კაფუ (ფუზერი 46), ვ. სამუელი, ალდაირი (ფერონეტი 55), პანუჩი, ემერსონი, გვარდიოლა, გიგუ (ბომბარდინი 32), კანდელა, ბატისტუტა, მონტელა

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ბონერა, ფილიპინი, ფერარი, ბომბარდინი

მსაჯი: კოლინა

18 000 მაყურებელი

**კიევო 1:0 ემპოლი**

1:0 მარაცინა (27)

კიევო: ამბროზიო, მენსა, ლეგროტალიედანა, ლანა, ლაზეტიჩი (დელა მორტე 56), დ. ანდერსონი, პასონი (ბირპოფი 73), დ. ფრანჩესკინი, ფ. კოსატო, მარაცინა (ნალისი 62)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი, კუპი, გრელა (გრიეკო 32; ტავანო 73), ჯამპიერეტი (კაპელინი 65), ბუშე, ვანუკი, დი ნატალე, როკი

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

გაფრთხილება: ანდერსონი, ლეგროტალიედანა, კაპელინი, ბუშე, ანდერსონი, ატცორი, ბერტი, ამბროზიო, ფრანჩესკინი

გაძევება: ანდერსონი (58)

მსაჯი: ბოლონინო

12 530 მაყურებელი



REUTERS

პარმა — რომა. მატეო ფერარიმ და პარმელებმა ვინჩენცო მონტელა და მისი გუნდი მოახრჩვეს

**ბრეშა 1:1 უდინეზე**

0:1 იორგენსენი (8), 1:1 სემიონი (68ს.კ)

ბრეშა: მიჩილო, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, სერიჩი, ა. ფილიპინი (შოპი 66), აპია, მატუზალემი, ბაჯინი, რ. ბაჯო, ტარე

მწვრთნელი: კარლო მაცონე

უდინეზე: დე სანქტისი, კროლდრუპი, სენსინი, ბერტოტო, ალბერტო, დ. პიზარო, ბედინი, პიერი, ვარლეი (იაკინტა 58), იორგენსენი (ჯემიტი 87), იანკერი (თ. მანფრედინი 76)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: მატუზალემი, ვარლეი, დაინელი, ბედინი, აპია, ალბერტო, ფილიპინი, ბედინი

გაძევება: ბედინი (90)

მსაჯი: ტრეფოლონი

13 000 მაყურებელი

**პერუჯა 3:0 კომო**

1:0 ფუზანი (14), 2:0 მიკოლი (47), 3:0 მილანეზე (90)

პერუჯა: ს. როსი, სოლიანი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ლ. პალიუკა (ბარონიო 78), ობოდო, ფუზანი, გროსო (ლუმბუტისი 89), მიკოლი, კარაჩოლო (ნ. ამორუზო 52)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

კომო: ფერონი, გრეგორი, ტომაში, ბრევი (კოე 65), სტელინი, ბინოტო, კორენტი, ალეგრეტი, ბენინი (სერნა 58), მ. როსი (მუსიჩი 77), ბიელანოვიჩი

მწვრთნელი: ლორის დომინისინი

გაფრთხილება: ობოდო, გროსო, კოე

მსაჯი: მორგანტი

7 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 1:0 ტორინო**

1:0 დი ფრანჩესკო (23)

პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკო, მანჩონე, გურენკო (კრისტანტე 60), რიჩო, მარეხკა, დი ფრანჩესკო, ტოსტო, მონტანო (კაჩა 6), უბნერი (ობოლო 66)

მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი

ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, მეცანო, კომოტო (სომეზე 56), დე აზენტისი, კონტიკიო (სკარკელი 59), ვერგასოლა, მ. კასტელინი, კ. ლუკარელი (ოსმანოვსკი 81), ფერანტე

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

გაფრთხილება: ტოსტო, ფატორი, კონტიკიო, ობოლო, მანჩონე, დე აზენტისი, კაზა

გაძევება: ოსმანოვსკი (90), ლამაკო (90)

მსაჯი: როდომონტი

5 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:1 ატალანტა**

0:1 გაუტიერი (34), 1:1 სავოლდი (56)

რეჯინა: კასტელაცი, ჩირილო, ვარგასი, პოერინი, მორაბიტო, რასტელი (სავოლდი 54), პარედესი (მესტო 78), მოცარტი, კოცა (ფალზინი 66), ნაკამურა, დი მიკელე

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

ატალანტა: ტაიბი, სალა, კარერა, ძაური, ბელინი, გაუტიერი (ფოლიო 49), ბერტა, დაბო, დონი, პინარდი (ბრევიარიო 85), კომანდინი (პიანჯი 73)

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

გაფრთხილება: ვარგასი, სალა

მსაჯი: დონდარინი

23 000 მაყურებელი

**აი, თემა** განსჯისთვის: „ლაციო" კოტრდება, პრეზიდენტი თავის წილს, 51 პროცენტს ყიდის, გუნდი კი იგებს და იგებს! რა არის ეს, თუ არა დამტკიცება იმისა, რომ ფინანსური გაჭირვება სულაც არ არის ცუდად თამაშის აუცილებელი წინაპირობა? ახლაც, ბოლო ტურში, რომაელებმა „მოდენას" უმასპინძლეს, 4:0 მოუგეს და მესამე ადგილზე აბრძანდნენ. ხსენებული ოთხი გოლიდან ორი, „კიევოს" ყოფილმა ფეხბურთელმა ბერნარდო კორადიმ გაიტანა.

ცნობისთვის: „ლაციოს" უკვე ათი თამაშია, არ წაუგია.

ანგარიში 25-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც სტეფანო ფიორეს ჩაწოდებულ ბურთს სეზარმა თავი მიაშველა, ხოლო ზემოხსენებულმა კორადიმ მაკრატელათი მიუჩინა სასურველი ადგილი. ამის მერე, გამოხდა ექვსი წუთი და არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა ანგარიში ორამდე გაზარდა — სინიშა მიხაილოვიჩმა კუთხური ჩააწოდა, ბურთი ძელს მოხვდა, აისხლიტა და ლოპესმა თავით დაამატა.

საერთოდ, ლოპესი ჩინებულ ფორმაშია, რაც თვალნათლივ მეორე ტაიმში გამოჩნდა — 78-ე წუთზე მშვენიერი პასი ჩააწოდა სეზარს, რომელმაც „ლაციოს" ყოფილ მეკარეს, დღეს „მოდენას" კარის მცველ მარკო ბალოტას მესამე გაუტანა, ხოლო შეხვედრის ბოლო წუთზე კორადიმ, შეცვლაზე შესული ენრიკო კიეზას დახმარებით, მეოთხედ დასცა სტუმართა კარი.

ერთი სიტყვით, „ლაციო" ყოჩაღობს, მისი თანაქალაქელი „რომა" კი, პირიქით, ძველებურად გასაჭირშია, უფრო სწორად კი გაუგებრობაშია — ხან კარგად თამაშობს, ხანაც გასაოცრად ცუდად. მეორე მხრივ, რომაელებს გასამართლებელი საბუთიც აქვთ: „პარმას" წინააღმდეგ ფრანჩესკო ტოტის, კაფუს, დამიანო ტომაზის და მარკო დელვეკიოს გარეშე გავიდნენ მოედანზე. და მაინც, ფაბიო კაპელო სათადარიგოთა სკამის სიგრძეს ვერ დაიწუნებს და, ბუნებრივია, რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნამ მის გუნდზე ასე არ უნდა იმოქმედოს.

„პარმა" მე-11 წუთზე დაწინაურდა, როდესაც ბრაზილიელმა ჟუნიორმა შეტევაში რუმინელი მუტუ ჩართო, ხოლო მუტუმ მოხერხებულად მიაწოდა ბონაცოლის. ანგარიში 12 წუთის შემდეგ გაიზარდა — რომაელთა ბრაზილიელმა ალდაირმა თამაშის წესი დაარღვია, დაინიშნა ჯარიმა, რომელიც ზემოხსენებულმა მუტუმ შედეგიანად გამოიყენა.

71-ე წუთზე, იმავე მუტუმ კვლავ ჯარიმიდან, ისე ჩაახვია ბურთი, რომ „რომას" მეკარემ, ფრანჩესკო ანტონიოლიმ საუცხოო ნახტომი და გუნდის გადარჩენა მიითვალა, თუმცა ანტონიოლი ველარაფერს გახდა, როდესაც ბონაცოლიმ კუთხურიდან ჩაწოდებულს უხელთა და მესამე გოლი გაიტანა.

ბოლო ადგილზე მყოფი „კომო" ისეთი საბრალოა, რომ სერია A-ში კვლავ მოგების გარეშე მიჩანჩალებს. ამჯერად მან „პერუჯასთან" წააგო 0:3, ხოლო „უდინეზემ" „ბრეშას" 1:1-ის მეტი ვერ მოუხერხა. ამასთან, უდინელთაგან არგენტინელმა ნესტორ სენსინიმ სცა მეტოქეს პატივი — იმათი გოლი მან გაიტანა საკუთარ კარში.

ჩემპიონმა „იუვენტუსმა", „ბოლონიას" უმასპინძლა და 1:1 ითამაშა. ქულა მარკ იულიანომ გადაარჩინა — საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე თავურით გაქვითა ანგარიში — პირველი გოლი კი 66-ე წუთზე „ბებერი ქალბატონის" კარში გავიდა: მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა საკუთარ საჯარიმოში ხულიო კრუზი წააქცია, რის გამოც პენალტი დაინიშნა და იგი ცნობილმა ჯუზეპე სინიორიმ გაიტანა.

მსაჯის წამატებულ წუთებზე ბოლონიელმა ტომას ლოკატელიმ ძელს გაარტყა ბურთი, თორემ...

**ბაჩუნა კიდია**

### სერია B

#### XIII ტური

**ასკოლი 1:0 ანკონა**

1:0 ფონტანა (29)

**კოზენცა 1:2 ვენეცია**

0:1 ამერინი (15), 0:2 პოჯი (45), 1:2 ალტერი (90)

**ლიჩე 1:0 ლივორნო**

1:0 ვუგრინეცი (51)

**მესინა 2:2 ბარი**

0:1 სპინეზი (44), 1:1 ბრინჩივალი (52), 2:1 ძამპანა (80), 2:2 დე როსა (80)

**პალერმო 2:1 ტერნანა**

1:0 მასკარა (35), 2:0 მანიერო (55პ), 2:1 ფრიკე (70)

**სალერნიტანა 2:0 ნაპოლი**

1:0 პაჯო (18პ), 2:0 ზორო (28)

**სიენა 1:0 სამპდორია**

1:0 ტირიბოკი (79)

**ტრიესტინა 3:0 კალიარი**

1:0 ფავა (15), 2:0 დელ ნევო (70), 3:0 გუბელინი (85)

**ვიჩენცა 2:1 კატანია**

1:0 შოკი (43), 2:0 მარკოლინი (50), 2:1 ძეოლი (65)

**ჯენოა — ვერონა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 12 | 6 | 5 | 1 | 16:9 | 23 |
| სიენა | 12 | 5 | 6 | 1 | 12:8 | 21 |
| ტრიესტინა | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| ლეჩე | 12 | 4 | 7 | 1 | 14:10 | 19 |
| ტერნანა | 12 | 5 | 4 | 3 | 12:9 | 19 |
| კალიარი | 11 | 5 | 4 | 2 | 11:10 | 19 |
| პალერმო | 12 | 6 | 1 | 5 | 15:17 | 19 |
| ანკონა | 12 | 4 | 6 | 2 | 16:12 | 18 |
| ლივორნო | 12 | 6 | 0 | 6 | 13:10 | 18 |
| ასკოლი | 12 | 4 | 4 | 4 | 8:9 | 16 |
| ვენეცია | 12 | 4 | 3 | 5 | 12:14 | 15 |
| ბარი | 12 | 2 | 8 | 2 | 11:9 | 14 |
| ვიჩენცა | 12 | 3 | 5 | 4 | 16:20 | 14 |
| ვერონა | 11 | 3 | 4 | 4 | 13:12 | 13 |
| ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:11 | 12 |
| მესინა | 11 | 3 | 3 | 5 | 14:16 | 12 |
| კატანია | 12 | 3 | 3 | 6 | 15:22 | 12 |
| ნაპოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 15:19 | 11 |
| კოზენცა | 12 | 3 | 2 | 7 | 9:14 | 11 |
| სალერნიტანა | 12 | 3 | 1 | 8 | 11:19 | 10 |

### სერია C1/A

მე-13 ტური: კარარეზე — ალბინოლეფე 2:5; ლუმეცანე — პრო პატრია 3:2; პადოვა — რეჯანა 5:2; პიზა — სპეცია 1:1; პისტოიეზე — ჩეზენა 1:0; პრატო — ლუკეზე 1:2; სპალ — არეცო 0:0; ტრევიზო — ჩიტადელა 3:1; ვარეზე — ალძანო 2:2

### სერია C1/B

მე-13 ტური: აველინო — ტერამო 1:2; კროტონე — აკილა 0:0; ჯულიანოვა — კროტონე 0:3; მარტინა — პატერნო 3:1; პესკარა — ტარანტო 1:0; სამბენედეტეზე — ფერმანა 1:0; ტორესი — სორა 2:1; პაზარო — ლანჩანო 2:2; ვიტერბეზე — ბენევენტო 2:0

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 11 | 8 | 1 | 2 | 26:8 | 18 | 25 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:1 | 14 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 7 |
| 2 იუვენტუსი | 11 | 7 | 4 | 0 | 19:6 | 13 | 25 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:5 | 5 | 12 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 |
| 3 ლაციო | 11 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 14 | 24 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 9 | 5 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 15 |
| 4 ინტერი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:12 | 9 | 23 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 6 | 4 | 1 | 1 | 14:8 | 6 | 13 |
| 5 კიევო | 11 | 7 | 0 | 4 | 20:12 | 8 | 21 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 15 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 |
| 6 ბოლონია | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 4 | 19 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 15 | 6 | 0 | 4 | 2 | 4:7 | -3 | 4 |
| 7 მოდენა | 11 | 6 | 0 | 5 | 11:16 | -5 | 18 | 5 | 3 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 9 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:10 | -4 | 9 |
| 8 პარმა | 11 | 4 | 4 | 3 | 18:14 | 4 | 16 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:7 | 6 | 13 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | -2 | 3 |
| 9 რომა | 11 | 4 | 4 | 3 | 21:19 | 2 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | 3 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | -1 | 8 |
| 10 ემპოლი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:16 | 2 | 16 | 6 | 1 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 4 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 12 |
| 11 უდინეზე | 11 | 4 | 3 | 4 | 9:12 | -3 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 |
| 12 პერუჯა | 11 | 4 | 2 | 5 | 15:19 | -4 | 14 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 13 პიაჩენცა | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | -5 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 14 ბრეშა | 11 | 2 | 3 | 6 | 14:21 | -7 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | -3 | 7 |
| 15 ატალანტა | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | -10 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 |
| 16 რეჯინა | 11 | 1 | 3 | 7 | 9:20 | -11 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 17 ტორინო | 11 | 2 | 0 | 9 | 6:22 | -16 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 6 | 6 | 0 | 0 | 6 | 3:14 | -11 | 0 |
| 18 კომო | 11 | 0 | 4 | 7 | 6:19 | -13 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | -7 | 2 |

**XII ტური**

**1 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | პერუჯა |
| ბოლონია | - | მოდენა |
| კომო | - | უდინეზე |
| ემპოლი | - | მილანი |
| ინტერი | - | ბრეშა |
| პიაჩენცა | - | ლაციო |
| რეჯინა | - | კიევო |
| რომა | - | იუვენტუსი |
| ტორინო | - | პარმა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 8 |
| ვიერი (ინტერი) | 8 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 8 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 7 |
| პირლო (მილანი) | 6 |

## იტალიის ჩემპიონატი
მეთერთმეტე ტურის მატჩი

### მილანი 1:0 ინტერი
კახა კალაძე:90 წუთი

# ბიძაშვილებმა კი ყველაფერი იხილეს

**ანდრეი შევჩენკომ** მოედანზე ოც წუთზე ოდნავ მეტი დაჰყო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სამი თვალშისაცემი რამ ჩაიდინა: გაიტანა გოლი, რომელიც არ ჩათვალეს, დაარტყა სახიფათოდ, ოღონდ ბურთმა ძელს ოდნავ ჩაუფრინა და პასი მიაწოდა კახა კალაძეს, რომლის დარტყმას მხოლოდ ფრანჩესკო ტოლდოს ბრწყინვალე და საყოველთაოდ აღიარებული რეაქცია თუ უშველიდა რამეს. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად კი შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორი, კალაძისა და შევჩენკოს ბრაზილიელი თანაგუნდელი სერჟინიო დაასახელეს, თუმცა „სან სიროს" პრესლოჟაში მხზდომ ჟურნალისტთა აზრით, ქების ღირსნი პაოლო მალდინი და კალაძეც იყვნენ.

აი, ამ ჩახლართული აბზაცის შემდეგ ვთქვათ, რომ საქმე ეხება ეგრეთ წოდებული კალჩოს დედაქალაქის ანუ მილანის საქვეყნოდ ცნობილ დერბის, რომელიც „მილანმა" „ინტერს" მოუგო და, რომელზე დასასწრები ბილეთის შოვნაც კომშარული პრობლემის ტოლფასი იყო.

გასაკვირი იმაში, რომ ბილეთი არ იშოვებოდა, არაფერი გახლავთ: შეხვედრის მასპინძელი, კალენდრისა და ოჯჩის თანახმად, „მილანი" იყო, ხოლო ამ გუნდის ქომაგებს 50 725 სეზონური აბონემენტი აქვთ ნაყიდი, ანუ ისინი მშვიდად შევიდნენ სტადიონზე. „ინტერის" გულშემატკივრებს, მათგან განსხვავებით, აბონემენტების შინ დატოვება და ბილეთების შოვნა დასჭირდათ, მაგრამ მათთვის, როგორც სტუმართათვის, მხოლოდ 8 ათასი ბილეთი იყო გადადებული. ასე და ამგვარად, თავისუფალი წესით 20 ათასი ბილეთი უნდა გაეყიდათ, მაგრამ... ეს 20 ათასი ბილეთი სალაროებთან მისულ მოქალაქეებს თვალით არ უნახავთ. მათი დიდი ნაწილი „მილანისა" და „ინტერის" ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ბიძაშვილმამიდაშვილებს ერგოთ, ხოლო, რაც დარჩა — გადამყიდველებს.

შედეგი: მესამე იარუსის, ანუ უიაფესი ბილეთები მატჩის დღეს 100 ევრო ღირდა.

ასეთი გახლდათ 253-ე მილანური დერბის შესავალი (თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ 253 მატჩიდან, იტალიის პირველობისა მხოლოდ 159 იყო), შემდეგ კი გადამყიდველებმა მეორე პლანზე გადაიწიეს და ადგილი ფეხბურთელებს დაუთმეს. ოღონდ, ფეხბურთელთა შორის, ბევრის გასაკვირად, არ აღმოჩნდნენ „ინტერის" არგენტინელები, მატიას ალმეიდა და ერნან კრესპო, რომლებიც თურმე თვითმფრინავმა დაღალა — მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ არგენტინის ნაკრები იაპონიაში გახლდათ ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად — რაც შეეხება მათ თანამგზავრ ხავიერ ძანეტის, რომელიც იმავდროულად გუნდის კაპიტანიცაა, იგი პირველ ტაიმში სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

„მილანის" სასტარტო შემადგენლობაში კი ანდრეი შევჩენკოს არყოფნა იქცევდა ყურადღებას. უკრაინელს, რომელზეც წერდნენ, რომ დერბიში აუცილებლად ითამაშებდა, „ინტერის" კარში გოლების გატანა ეხერხება — რვა შეხვედრაში ცხრა გოლი— მაგრამ კარლო ანჩელოტიმ მაინც ბრაზილიელი რივალდოს დასაქმება ამჯობინა.

მატჩი „მილანის" შეტევებით და „ინტერის" კონტრშეტევებით დაიწყო — რასაც მთელი დაინტერესებული საზოგადოება ელოდა კიდეც. მე-13 წუთზე კი ის მოხდა, რასაც ზოგი ელოდა, ზოგი კი არა: რივალდომ გრძელი პასი მიაწოდა სერჟინიოს, რომელმაც ტოლდოს აჯობა და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ შეხვედრა საინტერესო და უინტერესო მონაკვეთებად დაიყო. თვალშისაცემი იყო ის გარემოებაც, რომ „ინტერის" თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა ვივასი ძანეტით შეცვალა ანუ ფეხბურთელი, რომლის შეცდომამ სერჟინიოს გოლის გატანის საშუალება მისცა, შეცვალა ფეხბურთელმა, რომელმაც მარჯვენა ფრთიდან „მილანის" კართან ორი სახიფათო მომენტი წამოიწყო. ამ მომენტებიდან მეორე განსაკუთრებული იყო: ნაქებმა კრისტიან ვიერიმ სამიოდ მეტრიდან კარში ვერ დაუმიზნადა თუ გახსოვთ. მუნდიალზე კორეასთან იმ ავად მოსაგონარ მატჩშიც იგივე დაემართა.

**ბაჩუნა ძიძია**


REUTERS მიდ...

ალესანდრო რიკობამ და მისმა თანაგუნდელებმა „მილანს" გოლი რომ ვერ გაუტანეს, უპირველესად პაოლო მალდინის და კახა კალაძის დამსახურება იყო





რეინჯერსი — დანფერმლაინი. კილგანონის გაძევების მერე სტუმრებმა შოთა არველაძე და მისი თანაგუნდელები ვერ გააჩერეს

# ქართველებმა დერბი გადაირჩინეს
## მეშვიდე ექვსი იარდიდან

### შოტლანდია
პრემიერლიგა. XVI ტური

**რეინჯერსი 3:0 დანფერმლაინი**
1:0 მაკკანი (60), 2:0 მოლსი (81), 3:0 არველაძე (83)
რეინჯერსი: კლოსი, მუსკატი, მალკოლმი, ჯ. მური, ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, შ. არველაძე, მოლსი (ბ. დოდსი 90), ნ. მაკკანი (კანიჯა 71)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
48 431 მაყურებელი

**დანდი 3:2 დანდი იუნ.**
1:0, 2:0 კაბალიერო (11, 30), 3:0 ერნანდესი (55), 3:1 ჰამილტონი (67), 3:2 მაკინტაირი (83)
დანდი: სპერონი, მაკკეი, უილზი, მათისონი, ერნანდესი, სმიტი, ნემსაძე, რაენოვი (მილნი 90), კაბალიერო (ხიზანიშვილი 86), ლოველი (სარა 90)
მწვრთნელი: ჯიმ დაფი
11 539 მაყურებელი

**ლივინგსტონი 0:2 სელტიკი**
0:1, 0:2 ლარსონი (63, 83)

**ჰიბერნიანი 3:1 მოზერუელი**
0:1 ს. ფერგიუსონი (47), 1:1 პაატელაინენი (59), 2:1 მაკმანუსი (64), 3:1 ჯ. ონილი (90პ)

**კილმარნოკი 0:1 ჰარტსი**
0:1 დე ვრიზე (48)

**პარტიკი 2:1 აბერდინი**
1:0 ლილი (32), 2:0 ბარდი (79), 2:1 მაიკი (84)

**შოტლანდიაში** ორივე ქართულმა გუნდმა მოიგო — „დანდიმ" გაჭირვებით, „რეინჯერსმა" იოლად.

თუმც „დანდის" გამარჯვება უფრო ფასეულია, რადგან მან ეს „დანდი იუნაიტედთან" შეძლო — ნემსაძე-ხიზანიშვილის გუნდს აქამდე ორი წლით დავიწყებული ჰქონდა დერბული ტრიუმფის გემო.

მასპინძელი დანდელები არგენტინელი ფაბიან კაბალიეროს გოლებით დაწინაურდნენ, მერე კი ვენესუელელი სანტოს ერნანდესის წყალობით სამბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს.

გიორგი ნემსაძეს არც ერთ საგოლე კომბინაციაში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ერთ ეპიზოდში ძალიან ლამაზად გაისარჯა — მკერდით გაიგდო ბურთი, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ „იუნაიტედის" მეკარემ იყოჩაღა.

ბოლო ათ წუთში კი „დანდის" დაღლა დაეტყო, მეტოქემ ყრუ დაცვაში მიაწვინა და ერთ საპასუხოს ბოლო ათწუთეულში მეორე გოლიც მიაყოლა. ალბათ, სწორედ ამიტომ შეუშვა ჯიმ დაფიმ ბოლო წუთებზე ზურაბ ხიზანიშვილი და ამ შეცვლის მერე „დანდის" გოლი აღარ გაუშვია.

„აიბროქსზე" შანსი არ ჰქონია „დანფერმლაინს". სტუმრები დაცვაში კი მაგრად იდგნენ — სანამ კაცი არ გაუგდეს მე-60 წუთზე — მაგრამ შეტევაში არაფერი გამოსდიოდათ.

შოთა არველაძემ პირველ ტაიმში ორი საგოლო მომენტი გააცუდა — ჯერ თავური გაარტყა ძელს, მერე ცაციათი ააცილა კარს ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან.

თუმც მეორე ტაიმში ქართველი მაინც გამოირჩა — მიხაელ მოლსის შეშწეობით ექვსი იარდიდან ლაღად შეაგდოო, იუწყება „რეინჯერსის" ვებგვერდი — ეს შოთას მეშვიდე გოლი გახლდათ მიმდინარე პრემიერლიგაში.

ერთი დეტალიც — ყველასთვის მოულოდნელად ალექს მაკლიშმა სამატჩო განაცხადში არ შეიყვანა რონალდ დე ბური, მაგრამ მისმა შემცვლელმა ნილ მაკკანმა დიდებულად ითამაშა, არველაძესთან საგოლე კომბინაციაც გაითამაშა და აიბროქსელებმა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

საინტერესოს ვერაფერს გეტყვით „სელტიკზე", რადგან ამ გლაზგოურმა გველეშაპმაც იოლად მოიგო ჰენრიკ ლარსონის ორი გოლით.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 16 | 14 | 1 | 1 | 48:8 | 43 |
| რეინჯერსი | 16 | 13 | 3 | 0 | 48:10 | 42 |
| დანფერმლაინი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:32 | 26 |
| ჰართსი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:21 | 24 |
| ჰიბერნიანი | 16 | 8 | 0 | 8 | 24:25 | 24 |
| დანდი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:25 | 20 |
| კილმარნოკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:28 | 19 |
| აბერდინი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:28 | 17 |
| ლივინგსტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 21:25 | 15 |
| პარტიკ თისლი | 16 | 3 | 6 | 7 | 13:27 | 15 |
| დანდი იუნ. | 16 | 3 | 4 | 9 | 15:29 | 13 |
| მოზერუელი | 16 | 2 | 3 | 11 | 16:32 | 9 |

**პირველი დივიზიონი**
80-15 ტური: არბროთი — ინვერნესი 1:2; ეარი — ალოა 3:1; კლაიდი — ფოლკირკი 2:0; ქუინ ოფ საუთ — სტ. მირენი 3:0; როს ქაუნთი — სტ. ჯონსტონი 0:0

**მეორე დივიზიონი**
80-15 ტური: ბერიკი — ფორფარი 2:1; ბრეჩინი — ერდრი 1:5; დამბარტონი — სტრენრარი 3:0; რეით როვერსი — ჰამილტონი 1:1; სტენჰაუზმური — ქოუდენბითი 4:1

**მესამე დივიზიონი**
80-15 ტური: ელგინი — ალბიონი 1:1; გრეტნა — ისტ სტირლინგი 2:2; მორტონი — მონტროუზი 4:2; ქუინზ პარკი — პიტერჰედი 2:0; სტირლინგი — ისტ ფაიფი 0:0

### თურქეთი
80-14 ტური: ბეშიქთაში — ადანა 3:0; ბურსა — ელაზიგსფორი 1:1; დიარბაქირი — დენიზლი 0:0; გენჩლერბირლიგი — გალათასარაი 1:0; გიოზთეფე — გაზიანთეფე 2:1; ისთანბული — მალათია 0:0; ქოჯაელი — ფენერბაჩე 1:2; სამსუნი — ალთაი 2:4; ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 13 | 9 | 4 | 0 | 23:8 | 31 |
| გალათასარაი | 14 | 9 | 3 | 2 | 23:14 | 30 |
| გაზიანთეფე | 14 | 8 | 5 | 1 | 27:14 | 29 |
| ფენერბაჩე | 13 | 8 | 4 | 1 | 34:15 | 28 |
| გენჩლერი | 14 | 8 | 3 | 3 | 32:16 | 27 |
| ტრაბზონი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:9 | 25 |
| მალათია | 14 | 5 | 6 | 3 | 24:18 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 6 | 2 | 6 | 15:17 | 20 |
